ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 3 – 4 მაისი, 2017

№130 (7365)

ფასი: 50 თეთრი

თბილისის შემოგარენში უძრავი ქონების შეძენაზე მოთხოვნა იზრდება

გვ.6

1 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

გამქრალი ოცნებანი

წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

გელა ნიკოლაიშვილი: „ფარმან ჯეირანლიმ თქვა, რომ აფგან მუხთარლი მისი მეგობარია“

გვ.3

კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორ ფარმან ჯეირანლის დაპატიმრებასა და ჟურნალისტ აფგან მუხთარლის გატაცებას შესაძლოა ერთი მოტივი ჰქონდეს

გვ.2

„ქართული ოცნება საკუთარ თავს ებრძვის“

გია ხუხაშვილი: „აბსურდის თეატრია, როცა პრემიერი კვირიკაშვილი პოლიტიკაში არ ერევა“

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებას სერიოზული კომპენსაციის გადახდა მოუწევს“

გვ.4

„დღეს მაჟორიტარების შენარჩუნების ფუფუნება არა აქვს „ოცნებას“, 2012 წელი არ არის, არც 2013 წელია. დღეს „ქართული ოცნების“ გავლენა კლებულობს. მათი ლიდერის გავლენაც კლებულობს. თუმცა, ეს ბუნებრივი პროცესია“

ანატოლი ბიბილოვი: „რუსეთთან მიერთების საკითხი შეიძლება გადაიდოს“

გვ.4

„როდესაც გვქონდა რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობა, სამწუხაროდ, ის არ გამოვიყენეთ. დღეს ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. ყველაფერი უნდა მივიყვანოთ იქამდე, რომ რეფერენდუმმა შედეგი მოგვიტანოს“

გვ.2

ევროპულმა სასამართლომ ორ ქართულ საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვეყნა

ISSN 1987-9385

სასტუმრო საქართველოს გასხვისებას პრეტენზიული მეწილეებიც აფერხებენ

გვ.6

„ქართული ოცნება“ საკუთარ თავს ებრძვის“

შორენა მარსაგიშვილი

გია ხუხაშვილი: „აბსურდის თეატრია, როცა პრემიერი კვირიკაშვილი პოლიტიკაში არ ერევა“

ჰატომ უშვებს ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე, ვის ინტერესებშია საპატრიარქოს დისკრედიტაცია, ჰატომ არ ერევა პოლიტიკაში გიორგი კვირიკაშვილი? – ამ თემებზე „ახალი თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

– თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ მოქმედი ხელისუფლება მაზოხიზმისკენ არის მიდრეკილი. შეიძლება თუ არა ამით აიხსნას ის ფაქტი, რომ ყოველდღე ახალ-ახალ სკანდალში ეხვევიან?

– ამ სკანდალებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო მმართველობითი სისტემის არც ერთი რგოლი არ მუშაობს გამართულად. პრობლემები ყველა რგოლში იბადება. რაც ყველაზე მთავარია, პრობლემები სულ უფრო მძიმდება.

სისტემა გადაფარვის პრინციპით მუშაობს, რაც კანონზომიერია. როდესაც არ გაქვს საკმარისი პოლიტიკური კვალიფიკაცია, რომ რაღაც სწორად გააკეთო, ან მომხდარი ინციდენტი სწორად შეფუთო, გადაფარვას ცდილობ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მმართველობითი სისტემა კოროზირებულია და სახიფათო სტადიაშია შესული.

ბოლო დროს რამდენიმე ტიპის სისტემური პრობლემა წამოვიდა. ერთია საზღვრის თემა, მეორეა ჰიბრიდული მმართველობის თემა ფარცხალაძე-თორდიას განზომილებაში, მესამეა საპატრიარქოს, როგორც ინსტიტუტეს, დისკრედიტაციის პროცესი. სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრაზე ხელისუფლების არც ერთი შტო არ მუშაობს.

ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებს. ამაში არის ინფანტილიზმის მომენტი. ხან სახელმწიფო ინტერესზე მაღლა პოლიტიკური ინტერესი დგება. ჩვენ ახლა სისტემური კრიზისის საწყის ფაზაში ვიმყოფებით.

– საწყისი ფაზაა ვითომ?

– იმედი მაქვს, რომ საწყისი ფაზაა და შეუქცევადი სახე ამას ჯერ არ მიუღია, მაგრამ ძალიან ახლოს ვართ იმ კრიტიკულ წერტილთან, რომლის იქითაც პოლიტიკური კრახი იქნება გარდაუვალი.

გარდა ქმედებებში შეცდომებისა, ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან წარმოუდგენელ კომენტარებს ვისმენთ. ამის სიმბოლო გახდა ვიცე-პრემიერი ჯეჯელავა. ის არის ადამიანი-პაროდია. ყველაზე მეტად ის მაშფოთებს, რომ ეს კაცი განათლების მინისტრია. მასზე ბავშვებიც კი ხარხარებენ. ყველაფერთან ერთად, განათლების სისტემის ავტორიტეტიც ინგრევა.

არ შეიძლება განათლების მინისტრი ყველა საკითხზე აკეთებდეს კომენტარს. კომენტარი ერთია, მაგრამ ეს კაცი აბსოლუტურ სისულელეებს ლაპარაკობს.

ასევე არაადეკვატურად იქცევა პარლამენტის თავმჯდომარე. ის ისტერიული ტონით მუდმივად შეთქმულების თეორიებს ძერწავს და ფეხების ბაკუნით ლაპარაკობს პრეზიდენტზე. ეს მთლიანობაში ქმნის ძალიან მძიმე სურათს.

დღეს ხელისუფლების მთავარი პრობლემა ოპოზიცია აღარ არის. „ქართული ოცნების“ პრობლემა „ქართული ოცნებაა“. საკუთარი თავის პრობლემა გაუჩნდა ამ ხელისუფლებას და თუ ვინმე დაამარცხებს მას, ეს იქნება მასში ჩაბუდებული უგუნური სისტემა.

– ამას ხელისუფლება ვერ აცნობიერებს?

– ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ ხელისუფლება საკუთარ თავს ებრძვის და თვითმკვლელობისკენ უბიძგებს. აქამდე ხომ ვამბობდი, რომ „ოცნება“ მაზოხიზმისკენ იყო მიდრეკილი, ახლა გეტყვით, რომ ჩვენ გვყავს სუიციდალური ხელისუფლება, რომელიც ყველა მეთოდით ცდილობს, რომ თვითლიკვიდაცია მოახდინოს.

– პატრონი არ ჰყავს, რომ შეაჩეროს?

– აბა რა გითხრათ, ჰყავს თუ არა პატრონი. არსებულ ვითარებაში არის ერთადერთი გამოსავალი – რადიკალური რეფორმები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას უარი კოლექტიურ მურუსიძეზე. კოლექტიურმა მურუსიძემ ეს ხელისუფლება, რომელიც ნორმალური ადამიანებით არის დაკომპლექტებული, მძევლად აიყვანა უკვე და ხრამში გადაჩეხვისკენ უბიძგებს.

თავიდან „ოცნება“ შეეცადა, ეთანამშრომლა კოლექტიურ მურუსიძესთან, რაც ძალიან დიდი შეცდომა იყო. თანამშრომლობა არ გამოვიდა. ამ ურჩხულმა ხელისუფლება მძევლად აიყვანა და ის კარნახობს თამაშის წესებს, რაც ძალიან ცუდად დასრულდება.

აბა, დავაკვირდეთ სასამართლოში მიმდინარე პროცესებს. მურუსიძე, ცერცვაძე და მერე ჩინჩალაძე. ამ სისტემიდან ვერ გამოდიან. ურჩხულს ვითომ ერთ თავს აცლიან, მაგრამ მის ადგილზე უარესი თავი ამოდის.

ხელისუფლებას სარეველას გამარგვლის მცდელობა თითქოს აქვს, მაგრამ ეტყობა არ იციან, რომ სარეველას აქვს ერთი საინტერესო თვისება – რამდენიც არ უნდა ამოაძრო, ის მაინც ამოდის.

სარეველას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოსპობ, თუ მიწას მთლიანად გადააბრუნებ, გაცრი და განაახლებ. ზუსტად ამ პროცესში ვართ. ხელისუფლება სისტემის მძევალია და ვერა და ვერ თავისუფლდება აქედან. თუმცა სისტემა ჯერ ისეთი ძლიერი არაა, რომ მისი დამარცხება შეუძლებელი იყოს.

– ვინ უნდა დაამარცხოს სისტემა? არის „ოცნებაში“ ამის რესურსი?

– მე დეტალებში არ შევალ. მხოლოდ იმას გავიმეორებ, რომ სისტემის დამარცხება თეორიულად ჯერ კიდევ არის შესაძლებელი.

– მხოლოდ თეორიულად არის შესაძლებელი?

– ძალიან რთული და ძნელი იქნება ამის გაკეთება. ამიტომ ვამბობ, რომ თეორიულად ჯერ კიდევ შესაძლებელია.

– ზემოთ თქვენ ახსენეთ საპატრიარქოს დისკრედიტაციის მცდელობა. ეს პროცესი გარედან არის მართული თუ შიგნით ხდება რაღაც?

– რა მნიშვნელობა აქვს, ვის მიერ იმართება. ამ პროცესში ჩართულები არიან როგორც საპატრიარქოს შიგნიდან, ასევე გარედან. ყოველთვის მოიძებნება პერსონაჟი, რომელიც თითქოს საპატრიარქოს მხარეს იბრძვის და თავადვე ეწევა საპატრიარქოს ძალიან აგრესიულ დისკრედიტაციას. მაგალითისთვის გამოდგება ედიშერ ქარჩავა.

ის არის საპატრიარქოს იურისტი და თითქოს მათ იცავს, სინამდვილეში ყველა მისი გამონათქვამი არის საპატრიარქოს ავტორიტეტის წინააღმდეგ მიმართული.

– მიზანი რა არის, საქართველოში ყველა ინსტიტუტი უნდა დასუსტდეს?

– აქ უკვე მიზანზე აღარ არის ლაპარაკი. ქვეყანაში არის სრული ქაოსი. არ არსებობს არანაირი ვერტიკალი. არ არსებობს არანაირი პოლიტიკური ცენტრი. მოკლედ, არაფერი არ არსებობს და როგორც რუსები იტყვიან, სრული ბარდაგია. არავინ იცის, სად მიიღება გადაწყვეტილება და ვინ რას აკეთებს.

მერე იწყება სისულელეების კომენტირება. ყველა სხვადასხვა რამეს ამბობს. ხელისუფლებაში ერთიანობა არ არსებობს, მეტსაც გეტყვით, ხელისუფლებაში არ არიან ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკური აზროვნების უნარი აქვთ. მათ არც პოლიტიკისა გაეგებათ რამე საერთოდ.

ცალკე საუბრის თემაა გიორგი კვირიკაშვილი. ის არის მთავრობის მეთაური, მაგრამ პოლიტიკაში არ ერევა. წარმოგიდგენიათ, რა აბსურდის თეატრში ვცხოვრობთ, რომ გვყავს პოლიტიკური ლიდერი, რომელიც პოლიტიკაში არ ერევა.

– რატომ არ ერევა, უფლებას არ აძლევენ თუ თავად არ აქვს ამის სურვილი?

– არ ვიცი, თავად არ უნდა თუ უკრძალავენ, ფაქტი ისაა, რომ ყველა ქმედებით ხაზს უსვამს იმას, რომ პოლიტიკაში არ ერევა. ამას არანაირი ახსნა არა აქვს, გარდა იმისა, რომ ქვეყანაში სრული ქაოსია.

– პრემიერი პოლიტიკაში არც საკაკაშვილის პრეზიდენტობის დრო ერეოდა.

– მაშინ პრემიერს ამხელა უფლებები არ ჰქონდა. ახლა პოლიტიკური ლიდერი მთავრობის მეთაურია, მაგრამ გიორგი კვირიკაშვილი პოლიტიკაში არ ერევა. ესეც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში სისტემური ცვლილებებია საჭირო.

ევროპულმა სასამართლომ ორ ქართულ საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვეყნა

2017 წლის პირველ ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე - „მამუკა ნოზაძე საქართველოს წინააღმდეგ“ და „დავით მინდაძე და ვალერიან ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილები გამოაქვეყნა.

საქმე „მამუკა ნოზაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ეხება 2005 წლის 3 ნოემბერს ადვოკატ მამუკა ნოზაძის დაკავებისა და მისი შემდგომი პატიმრობის შედეგად მომჩივნის პრეტენზიებს ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლის საფუძველზე.

2017 წლის პირველ ივნისს გამოტანილი განჩინებით ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა საქართველოს მთავრობის არგუმენტაცია და მომჩივნის ყველა პრეტენზია მიუღებლად გამოაცხადა.

რაც შეეხება საქმეს „მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“, ის ეხება წინა ხელისუფლების მიერ მომჩივნების - დავით მინდაძისა და ვალერიან ნემსიწვერიძის - მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა უკანონო ქმედებას, მათ შორის, წამებასა და უკანონო პატიმრობას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ორივე მომჩივანი დააკავეს 2004 წელს და ბრალი დასდეს საქართველოს პარლამენტის წევრთან (კ.გ.) დაკავშირებულ თავდასხმაში. ეროვნულმა სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო, მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობისთვის.

საქმეზე სტრასბურის სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შემდეგი მუხლების დარღვევა:

კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა ეხება 2004 წლის 13 მაისს მომჩივან მინდაძის წამებას პოლიციელების მიერ, რაც გამოიხატებოდა სასტიკი ცემითა და ელექტროშოკის გამოყენებით. მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა, აგრეთვე, 2004 წლის 13 მაისის წამების ფაქტის გამოძიების არაეფექტიანობის გამო.

მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) პირველი პუნქტის დარღვევა ეხება მომჩივნების წინასწარ პატიმრობას 2005 წლის 13 იანვრიდან 2005 წლის 7 ივნისამდე. რომელიც სტრასბურის სასამართლომ უკანონოდ ცნო. ამავე მუხლის მესამე პუნქტის დარღვევა ეხება 2004 წლის 10 ნოემბრის და 2005 წლის 7 ივნისის პატიმრობის შესახებ განჩინებების დაუსაბუთებლობას.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა ეხება მომჩივნების სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევას, რაც გამოიხატა მომჩივან მინდაძისაგან აღიარებითი ჩვენებისა და სხვა განცხადებების წამების გზით მოპოვებით; ასევე, მომჩივნების უფლების დარღვევით, ესარგებლათ მათი არჩეული ადვოკატის მომსახურებით სამართალწარმოების საწყისი ეტაპიდან.

სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა 28.000 ევროს გადახდა მინდაძის და 16.000 ევროს გადახდა ნემსიწვერიძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით; ასევე, 4.800 ევროს გადახდა ორივე მომჩივნის სასარგებლოდ ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გელა ნიკოლაიშვილი: „ფარმან ჯეირანლიმ თქვა, რომ აფგან მუხთარლი მისი მეგობარია“

ნონა ცაბაძე

კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორ ფარმან ჯეირანლის დაპატიმრებასა და ჟურნალისტ აფგან მუხთარლის გატაცებას შესაძლოა ერთი მოტივი ჰქონდეს

ხა ჯავშიხია აზეიბაიჯანელი ჟურნალისტ აფგან მუხთარლისა და ჯლინიჯა „ლანცეტის" მფლობელი ფარმან ჯეირანლის დაპატიმრებებს შორის? იცნობდა თუ არა ჯეირანლი გატაცებული ჟურნალისტსა და აზეიბაიჯანში დაპატიმრებული ოპოზიციის ლიდერებს? აფინანსებდა თუ არა ჯეირანლი აზეიბაიჯანელ ოპოზიციას? – „ახალი თაობის" ამ და სხვა ჯითხვებს ფარმან ჯეირანლის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

– ბატონო გელა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფარმან ჯეირანლისა და ჟურნალისტ მუხთარლის დაკავებებს შორის საერთო არსებობს, რომ ორივე მათგანს კავშირი ჰქონდა აზერბაიჯანულ ოპოზიციასთან. თქვენ, როგორც ჯეირანლის ადვოკატი, რა საერთოს ხედავთ ამ ორ საქმეს შორის, თუ ესაუბრეთ ამ საკითხზე თქვენს კლიენტს და რა ინფორმაციებს ფლობთ?

– მე შევხვდი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ფარმან ჯეირანლის და ამის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ, რამდენად შესაძლებელია ჰქონდეს მის დაპატიმრებას პოლიტიკური კონტექსტი. აქამდე ჩვენ მხოლოდ სამართლებრივ საფუძვლებზე ვსაუბრობდით. ნაწილობრივ ის ინფორმირებული იყო, შეძლებისდაგვარად გაეცნო ამ ინფორმაციებს, ასე თუ ისე, ქართულიც ესმის. მან მითხრა, რომ აზერბაიჯანისა და დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა პირდაპირ მიაბეს მისი დაპატიმრება პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებს. ჯეირანლი ამ საკითხმა დააფიქრა.

– რა საერთო აქვს მას აზერბაიჯანულ ოპოზიციასთან?

– მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს ყოფილა ჩართული პოლიტიკაში, ჯეირანლი არ გამორიცხავს, რომ მისი დაპატიმრებაც ამ ტალღას მოჰყვა.

– რატომ ფიქრობს ასე?

– მოგახსენებთ. ის ამბობს, რომ იმ პიროვნებებთან, რომლებიც დაპატიმრებულები არიან, ოპოზიციონერები, პოლიტიკოსები, ჰქონდა კავშირი.

– ეს კავშირი რით გამოიხატებოდა?

– მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, ადამიანური, ზოგიერთი პაციენტი იყო, მასთან კლინიკაში ხშირად მიდიოდა და, არ არის გამორიცხული, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი უშვებს იმას, რომ აზერბაიჯანულმა მხარემ ეჭვი მიიტანა მასზე, თითქოს ის იატაკქვეშა მოძრაობაში იყო ჩართული.

– თუ გაქვთ ინფორმაცია, აფინანსებდა თუ არა ჯეირანლი აზერბაიჯანულ ოპოზიციას?

– ჩემთან საუბარში ამბობს, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მათთან ჰქონდა მხოლოდ მეგობრული და პიროვნული ურთიერთობა. თუმცა, ვინაიდან ეს ადამიანი ბიზნესმენია, შესაძლოა, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დაასკვნა, რომ ის ფინანსურ დახმარებას უწევდა ოპოზიციას და სწორედ ამ ტალღისთვის მიეყოლებინათ. მიეყოლებინათ იმ კუთხით, რომ საქართველოს ხელისუფლებისგან მოეთხოვათ სრულიად უსაფუძვლოდ მისი დაკავება. საბაბად კი გამოძებნეს წელიწადი და ორი თვის წინ, 2016 წლის მარტში, მომხდარი ის ოპერაციები, რომლებიც ლეტალური შედეგით დასრულდა და რომლებიც სხვანაირად ვერ დასრულდებოდა.

– რატომ ვერ დასრულდებოდა?

– იმიტომ, რომ ძალიან მძიმე იყო იმ ადამიანების მდგომარეობა და აქ არანაირ კრიმინალურ შემთხვევასთან საქმე არ გვაქვს. მაქსიმუმ, შეიძლებოდა, ადმინისტრაციული წესით ჯარიმა დაეწესებინათ. პროფესორს, რომელმაც ეს ოპერაცია ჩაატარა, რასაკვირველია, ლიცენზია აქვს, უბრალოდ, იმ პერიოდში ორი-სამი თვის განმავლობაში არ ჰქონდა ნებართვა აღებული. თუმცა კანონი ითვალისწინებს, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ მათ ოპერაციის გაკეთება და მოგვიანებით აიღონ ეს ნებართვა. მართლაც, ოპერაციიდან ერთ თვეში მათ მისცეს ეს ნებართვა.

ამ ყოველივედან გამომდინარე, რადგანაც სხვა საფუძველს ვერ ხედავდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, ის ფიქრობდა, რომ შესაძლოა იყოს ბიზნესის წართმევის ინტერესი. ამას დღესაც არ გამორიცხავს, თუმცა დაუშვა ის გარემოებაც, რომ ასეთი პოლიტიკური კონტექსტი ჰქონოდა მის დაპატიმრებას.

– თქვენ, როგორც მისი ადვოკატი, თავად რამდენად უშვებთ ამას?

– მეც არ გამოვრიცხავ ამას. ვინაიდან ისეთი რეჟიმები, როგორიც დღეს აზერბაიჯანშია, ყველა პატარა წვრილმანს ყურადღებას აქცევენ და ცდილობენ, ყველა ოპოზიციური მიმართულების ის ხვრელი ამოქოლონ, საიდანაც შესაძლოა მიდიოდეს მათი დაფინანსება. მე არ ვამბობ და არც ჯეირანლი ამბობს, რომ ის აფინანსებდა ოპოზიციას, მაგრამ, რადგან მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და მეგობრობდა, შესაძლოა, მათ ასე ჩათვალეს, რომ ის მათ აფინანსებდა. ამიტომ მოსთხოვეს საქართველოს ხელისუფლებას მისი განეიტრალება. საქართველოს ხელისუფლებამაც, იმ დროს, როდესაც არ არსებობდა არანაირი სამართლებრივი საფუძვლები, ციხეში უკრა თავი.

– ანუ თქვენც იხრებით იმ ვერსიისკენ, რომ ეს დაკავება პოლიტიკურია?

– მინდა, ზუსტად იყოს ჩემი აზრი დაფიქსირებული. მე გამოვხატავ ჯეირანლის პოზიციას და თავად ჩემი პოზიციაც ეს არის, რომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ, ეს ყველაფერი პოლიტიკურ პროცესებს იყოს მიბმული, იმიტომ, რომ ამ დაკავების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. რაღაც მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს, რისთვისაც დააკავეს?! ან მიზეზი არის ის, რომ მას წაართვან ბიზნესი, ან მეორე – ეს არის პოლიტიკური მიმართულება.

რადგან ყველაფერი ასე დაემთხვა და აზერბაიჯანული პრესაც ამაზე განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას, ასევე ამაზე აქტიურად საუბრობენ დასავლეთში მცხოვრები აზერბაიჯანელი ოპოზიციონერები და ჯეირანლის გვარსაც იხსენიებენ, ბუნებრივია, მათ გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ ამ პროცესებზე, აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ ეს იყოს ის მიზეზი, რის გამოც ის ციხეში აღმოჩნდა.

– იცნობს თუ არა ჯეირანლი აზერბაიჯანელ ჟურნალისტ აფგან მუხთარლის?

– რა თქმა უნდა, არათუ იცნობს, არამედ, ისევე, როგორც სხვებთან, მასთანაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

– ანუ ლოგიკურად ერთმანეთს ებმის ეს ორი თემა. შესაძლებელია, ისინი ერთი მოტივით იყვნენ დაპატიმრებულნი?

– კი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია! ამ ეტაპზე ამის კატეგორიულად დამტკიცება არ შემიძლია, თუმცა, ყველაფრიდან გამომდინარე, ამის დაშვების მაღალი ალბათობა არსებობს.

– ხშირად ხვდებოდა ჯეირანლი მუხთარლის?

– ცალკე ამ ჟურნალისტზე ბევრი არ გვისაუბრია, მაგრამ მასთანაც და კიდევ სხვებთან, რომლებიც აზერბაიჯანულ ოპოზიციას წარმოადგენენ, მას ჰქონდა მეგობრული შეხვედრები, თბილი ურთიერთობები. ჯეირანლი ბოლო ოთხი წელია, თბილისში ცხოვრობს და მას სტუმრობდნენ მეგობრები. ისედაც ის საქართველოს მოქალაქეა არის, იორმუღანლოშია დაბადებული. ორმაგი მოქალაქეობა აქვს, საქართველოს მოქალაქეც არის და აზერბაიჯანისაც. ის ითვლებოდა მასპინძლად და ეს ურთიერთობები აზერბაიჯანიდან მოყოლებული ჰქონდა. აქ უცნაური და გასაკვირი არაფერია.

– რამდენად უშვებთ იმას, რომ, ამ ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, ჯეირანლის დაპატიმრებას შეეცვალოს სარჩული?

– აქ ორი მიმართულებაა. ერთი მხრივ, როგორც უფლებადამცველმა, ამ მიმართულებაზე უნდა გავამახვილო ყურადღება, საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია მოვახდინოთ, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ადვოკატმა, მტკიცებულებები უნდა შევაგროვო, რომ მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და არანაირი თაღლითობის განზრახვა და მიზანი არ ჰქონია, სხვისი არაფერი მიუთვისებია. აი, ეს უნდა დავამტკიცოთ სასამართლოში, რადგან სასამართლოში ყველანაირი პოლიტიკური კონტექსტი და ქვეტექსტი სრულიად უნაყოფო იქნება და იქ არც არავინ მოგვისმენს და არც არავინ შეაფასებს ამას. იქ მთავარია არგუმენტები, მტკიცებულებები და მათი შეფასება.

– შეაგროვეთ მტკიცებულებები?

– ჩვენ ახლა ვართ მტკიცებულებების შეგროვებისა და მოპოვების ეტაპზე, ვაწარმოებთ გამოკითხვებს, მასალებს ვაგროვებთ. ჩვენ შეიძლება აზერბაიჯანშიც მოგვიწიოს წასვლა და თავად ის პროფესორიც გამოვკითხოთ და ამ მასალებით დატვირთული მივალთ სასამართლოზე. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ახლა არის ქვების შეგროვების პერიოდი ამ საქმეში, ხოლო ქვების სროლის პერიოდი სასამართლოში იქნება ანუ მტკიცებულებების გამოყენება.

– შესაძლებელია, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთს მიებას და ეს თუ გაგიადვილებთ თქვენი კლიენტის დაცვას?

– ამ ორი საქმის ერთმანეთზე მიბმით ჩვენ, ერთადერთი, შესაძლებელია გაგვიადვილდეს საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება, რომელსაც უკუღმა მიაწოდეს ინფორმაცია და ეს ადამიანი წარმოაჩინეს დამნაშავედ. ამ მიმართულებით, საზოგადოებრივი აზრის შემობრუნების კუთხით, აუცილებლად ვიმუშავებთ. აქ მთავარი მიმართულება მაინც არის სამართლებრივი და ჩვენ ყველა მტკიცებულებასა და დოკუმენტს შევაგროვებთ იმისთვის, რომ სასამართლოზე დავამტკიცოთ მისი უდანაშაულობა.

– უშვებთ იმას, რომ აზერბაიჯანულმა მხარემ მოითხოვოს პატიმრის მათთვის გადაცემა?

– რადგან ჯეირანლი საქართველოს მოქალაქეც არის, აზერბაიჯანშიც რომც აღეძრათ მასზე რაიმე საქმე, ან მომავალშიც რომ აღძრან, მაინც ვერ მოითხოვდა გადაცემას, იმიტომ, რომ კონსტიტუცია კრძალავს საქართველოს მოქალაქის სხვა ქვეყნისთვის გადაცემას. სწორედ ესეც გვაფიქრებს ჩვენ – რადგან ჯეირანლი საქართველოს მოქალაქეც არის და აქ რაღაცა საბაბი გაუჩნდათ მისი დაპატიმრების, ან ვინ აჩივლებინა დაზარალებულებს და რატომ აჩივლებინა, თანაც მომხდარიდან ამდენი ხნის შემდეგ.

– ფიქრობთ, რომ ვიღაცის ინტერესში იყო, მათ ეჩივლათ?

– აბა, მანამდე საერთოდ ხმა არ ამოუღიათ. მარტში გარდაცვლილი ადამიანების ოჯახის წევრებმა მხოლოდ ნოემბერში დაიწყეს ჩივილი. ეს ყველაფერი, რბილად რომ ვთქვათ, კითხვის ნიშნებს ბადებს. ვფიქრობ, ამ პროცესს უფრო საინტერესო განვითარება ექნება.

– თქვენ განაცხადეთ, რომ ჩახვალთ აზერბაიჯანში და გამოჰკითხავთ იმ პროფესორს, რომელმაც ეს ოპერაცია ჩაატარა. თავად ვერ ჩამოდის საქართველოში?

– ჩავალთ აზერბაიჯანში ან თურქეთში, სადაც იმ პერიოდისთვის იქნება. ის საქართველოში ვერ ჩამოდის, რადგან დაშინებულია, რომ ისიც არ დააკავონ.

– თუ გამართლდა ის პოლიტიკური მოტივები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რა გამოდის, საქართველოს ხელისუფლება მეზობელ ქვეყანას ხელს უწყობს, რომ ამ გზით გაუსწორდეს თავის ოპონენტებს? ეს რამდენად კანონიერი ნაბიჯია?

– რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს. მე მესმის საქართველოს ხელისუფლების მძიმე მდგომარეობაც, ერთი მხრივ, აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორია, მეორე მხრივ, თურქეთი ითხოვს თავის მოქალაქეებს. არადემოკრატიული ქვეყნების გარემოცვაშია საქართველო და ძნელია ამ ფონზე სახის შენარჩუნება, მაგრამ, ამის მიუხედავად, არანაირი გამართლება არა აქვს იმას, რომ, ფაქტობრივად, ადამიანებით ივაჭროს და გაყიდოს ადამიანები.

როდესაც დემოკრატიულ ღირებულებებზე აქვს პრეტენზია, უნდა მოახერხოს ლავირებითა თუ ხისტი პოლიტიკით, ეს მისი გადასაწყვეტია, ქვეყნისთვის სახისა და ღირსების შენარჩუნება!

– თქვენ ზეწოლა ახსენეთ და ითქვა, რომ თურქეთის ხელისუფლების დიდი ზეწოლის შედეგად მოხდა დემირელის კოლეჯის ერთ-ერთი მფლობელის დაპატიმრებაც. ამაზე რას იტყვით?

– დიახ, რა თქმა უნდა, დიდი ალბათობით, ეს ასეც იქნებოდა. არათუ ათასობით, ასიათასობით ადამიანია რეპრესირებული თურქეთსა და მის ფარგლებს გარეთ ამ რეჟიმის მიერ, რომელიც სულ უფრო და უფრო დიქტატურისკენ მიექანება და რომელიც მთელ მსოფლიოში უკვე აღიარებულია ანტიდემოკრატიულ და დიქტატორულ რეჟიმად.

მესმის, ძნელია ამ სიტუაციაშია თან მათი სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნება, თან ადამიანის უფლებების დაცვა, მაგრამ პრიორიტეტი ყოველთვის უნდა იყოს ადამიანის უფლებები! ამ ეტაპზე, რაც უნდა სამწუხარო იყოს, ჩვენმა ხელისუფლებამ ეს ვერ მოახერხა.

ევროპის საბჭო აფგან მუხთარლის საქმეს ეხმაურება

ევროპის საბჭო აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმეს ეხმაურება და თავის საიტზე მოვლენების განვითარების ქრონოლოგიას აქვეყნებს.

– 2017 წლის 29 მაისს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გაუჩინარებაზე ინფორმაცია მისმა მეუღლემ ლეილა მუსტაფაევამ გაავრცელა. მუსტაფაევამ განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ ბოლოს მაშინ დაურეკა, როდესაც ის მათი სახლიდან რამდენიმე კვარტლის მოშორებით იმყოფებოდა, მაგრამ საბოლოოდ სახლში არ დაბრუნდა. 30 მაისს საქართველოს პოლიციამ განაცხადა, რომ მიმდინარეობს ჟურნალისტის ძებნა, მაგრამ შემდგომ, დამოუკიდებელმა აზერბაიჯანულმა სააგენტომ „თურანმა“ ინფორმაცია გაავრცელა, რომ აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურმა აფგან მუხთარლი დააკავა, – ნათქვამია ევროპის საბჭოს სტატიაში.

სტატიაში აღნიშნულია, რომ დამოუკიდებელმა საგამოძიებო ჟურნალისტმა ხადიჯა ისმაილოვამ დაადასტურა, რომ მუხთარლი მისი სახლის ახლოს მდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს, ის ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში, სცემეს. მუხთარლი სერიოზულად დაშავდა. მისმა ადვოკატმა ელჩინ სადიგოვმა ჟურნალისტების დაცვის კომიტეტს განუცხადა, რომ „ის ცემეს, ცხვირი გაუტეხეს, შესაძლოა, ნეკნები დაზიანებული აქვს“. ის აზერბაიჯანის საზღვარზე მანქანით, პასპორტის გარეშე გადაიყვანეს.

– აფგან მუხთარლის ბრალად ედება საზღვრის უკანონო გადაკვეთა, კონტრაბანდა და სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. აზერბაიჯანის პოლიციის განცხადებით, მას თან ჰქონდა 10.000 ევრო. აფგან მუხთარლიმ აზერბაიჯანი 2015 წელს დატოვა და საქართველოში გადავიდა საცხოვრებლად მას შემდეგ, რაც მის სიცოცხლეს ემუქრებოდნენ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში კორუფციის ფაქტების გამოძიების გამო. მას ახლა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებას სერიოზული კომპენსაციის გადახდა მოუწევს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მაჟორიტარული სისტემის შესახებ საუბრობს.

— ბატონო სოსო, გავრცელებული ინფორმაციით „ქართული ოცნების“ გუნდში საარჩევნო სისტემაზე, კონკრეტულად კი მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებასთან დაკავშირებით დაპირისპირებაა. რამდენად არის მოსალოდნელი, რომ შეთანხმება ვერ შედგეს და არსებული საარჩევნო სისტემა დარჩეს?

— მეც მაქვს ეს ინფორმაცია, რომ მაჟორიტარები და კიდევ სხვები სასტიკი წინააღმდეგნი არიან მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების. არ არის გამორიცხული, რომ ეს ხმები გარეთ სწორედ იმიტომ გამოვიდა, რომ მმართველმა გუნდმა საზოგადოებას, ამომრჩეველს უთხრას, ჩვენ კი გვინდოდა საარჩევნო სისტემის ცვლილება, მაგრამ ერთიანობა არ არის გუნდში და ვერ მივიღეთო. ამდენად, შეიძლება პარლამენტში კენჭისყრაზე დადგეს საკითხი და ჩავარდეს. მერე სხვა რა გზა რჩება, დარჩება არსებული სისტემა.

— თუ „ქართული ოცნება“ წინასწარ იმუშავებს საპარლამენტო ოპოზიციასთან, ისინი საჭირო ხმებს მოაგროვებენ.

— თქვენ სწორად ამბობთ, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებას რამდენად მისცემს ხმას საპარლამენტო ოპოზიცია?! შეიძლება პოლიტიკური ვაჭრობა გაიმართოს და ამის მოწმენი ღიად გავხდეთ, მაგრამ ჯერ ოპოზიციასთან მოლაპარაკებები არ არის დაწყებული. მხოლოდ ის გვესმის, რომ მაჟორიტარები არ უჭერენ ხმას, გასაგებია, რომ არ უჭერენ, რადგან კარგად იციან, რომ ვერასდროს ვერ მოხვდებიან პარლამენტში.

— რატომ, იგივე ლოგიკით ხომ შეიძლება საარჩევნო სიებში მოხვდნენ?

— ასეთი გარანტიები სიებში ნაკლებია. გამსვლელ სიაში მოხვედრა როგორ ხდება საქართველოში, ყველამ იცის. ჯერ პარტიის ლიდერები არიან და შემდეგ, მაგალითად, დამფინანსებლები და ა.შ. ამიტომ არიან კატეგორიული წინააღმდეგნი, იციან, რომ ნულოვანი შანსი აქვთ პარლამენტში მოხვედრის. ყველა მაჟორიტარს აქვს თავისი რაიონი და მიკროელექტორატი, რომელიც საკმარისია გამარჯვებისთვის, მით უფრო, თუ ის მმართველი პარტიიდან არის, ეს უკვე 100% -იან გამარჯვებას ნიშნავს. პარტია კონკურენტს არ გიყენებს, ოპოზიციას კი შენ და პარტია ერთად ებრძვით, ეს უკვე ნიშნავს ცალ კარში თამაშს. რატომ იტყვიან ამაზე უარს?! ცხადია, არ იტყვიან.

მაჟორიტარულმა სისტემამ საკუთარი თავის კომპრომეტირება ისე სწრაფად მოახდინა, რომ დღეს მისი დამცველები თითქმის არ არიან, გარდა მაჟორიტარებისა.

— მაინც, როგორ ფიქრობთ, დათმობს ხელისუფლება მაჟორიტარულ არჩევნებს?

— ბოლო პერიოდში ბევრი უარყოფითი მოვლენა დაუგროვდა ხელისუფლებას სხვადასხვა სფეროში, ბევრი გამოვიდა ხმაურით ქუჩაში. დღეს მაჟორიტარების შენარჩუნების ფუფუნება არა აქვს „ოცნებას“, 2012 წელი არ არის, არც 2013 წელია. დღეს „ქართული ოცნების“ გავლენა კლებულობს. მათი ლიდერის გავლენაც კლებულობს. თუმცა, ეს ბუნებრივი პროცესია. შეუძლებელია ხელისუფლებამ, ვინც არ უნდა იყოს, შეინარჩუნოს ის რეიტინგი, რომლითაც მოვიდა. მით უმეტეს, სოციალური ფონიც ემატება ამას, ამიტომ ხელისუფლებას სერიოზული კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

— იქნება ეს კომპენსაცია მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება?

— სხვა გზა არ ექნება ხელისუფლებას. ამიტომ არის, რომ ორი ხელითა და ორი ფეხით ებღაუჭებიან გადაუნაწილებელ მანდატებს. შერეული სისტემა უკვე დრომოჭმული სისტემაა, თანაც ეს არის „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება, ლამის საარჩევნო დროშაზე გაკრული ლოზუნგი, რომ ის შეელეოდა მაჟორიტარებს. ისე, სამართლიანობისთვის უნდა ვთქვათ, რომ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება, რადგან სწორედ მაჟორიტარები არიან ყველა ხელისუფლებისთვის ბეღელი.

— მაგალითად, მაჟორიტარი დეპუტატი ოქრიაშვილი ამერიკის მაგალითს იშველიებს და ამბობს, თუ ასეთი ცუდია მაჟორიტარული არჩევნები, ჯერ ამერიკაში გაუქმდეს და შემდეგ საქართველოშიო.

— სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როგორ შეიძლება ამ შედარებაზე სერიოზულად ვისაუბროთ. სულ სხვა სისტემაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ სისტემას იქ საუკუნოვანი ისტორია აქვს, თანაც იქ სხვა სისტემით ტარდება არჩევნები. რამდენი მაჟორიტარი იცით, რომელიც კანონპროექტის ავტორია, რომელიც გამორჩეული დეპუტატია საქართველოს პარლამენტში? არიან ისეთი მაჟორიტარები, რომლებიც მხოლოდ რამდენჯერმე არიან პარლამენტში ნამყოფი, ალბათ პლენარულ სხდომათა დარბაზის კარიც კი არ იციან, საით არის, რომელ ფლიგელში. არიან დეპუტატები, რომლებიც მიკროფონთან გავლითაც კი არ არიან მისულები. მაშ, რა უნდათ მათ პარლამენტში, რატომ იღწვიან ასე თავგანწირვით დეპუტატობისთვის. მაჟორიტარების დიდი ნაწილისთვის პარლამენტი სათბურად იქცა.

— რატომ იღწვიან?

— ადრე, შევარდნაძის მმართველობის დროს, ისინი თავიანთ ბიზნესს „კრიშავდნენ“. რეალურად არც ერთ დეპუტატს თავისი ბიზნესი არ მიუტოვებია, კი გადააფორმებდნენ სიდედრზე, ცოლის დაზე, მაგრამ რეალურად თვითონ იყვნენ ყველაფერი. მახსოვს, თავის დროზე ბესო ჯუღელი როგორ ამბობდა, თავი დავანებოთ ამ არტისტობას, ყველამ ვიცით, როგორც ხდება და მივიღოთ კანონი, სადაც ბიზნესსაქმიანობის უფლება გვექნებაო. მაჟორიტარები საქართველოში ყოველთვის კრიტიკის ობიექტები იყვნენ, ისინი ყოველთვის დიდ ფულთან ასოცირდებოდნენ, მაგრამ იმდენად დიდი ბონუსი იყო ყველა ხელისუფლებისთვის, რომ ვერ ელეოდნენ.

— ამერიკულ პარალელს რომ დავუბრუნდეთ.

— ყველა მაჟორიტარი თავის შტატში ანგარიშვალდებულია ამომრჩევლის წინაშე. საუბარია რეალურ ანგარიშვალდებულებაზე. ყველა ამერიკელმა იცის, თავისმა მაჟორიტარმა რამდენ კანონპროექტს მისცა ხმა და რამდენს არა, თანაც რა კანონპროექტები იყო ესენი, რა ინიციატივით გამოვიდა. ჩვენთან კი ხალხი საერთოდ ვერ ცნობს თავის მაჟორიტარს, არჩევნების წინ დაენახება და მერე მორჩა, თითქოს ჩაილურის წყალი დალია. მაგალითად, ამერიკაში კენედეებისთვის მასაჩუსეტის შტატი, ბოსტონი, როგორც საკუთარი რანჩო, ისე იყო. კენედეები ბოსტონში თავს გრძნობდნენ, როგორც სახლში. რატომ? იმიტომ, რომ მთელი მასაჩუსეტი კენედებით ამაყობდა. ედუარდ კენედი ბრწყინვალე კანონმდებელი იყო, მის ანგარიშზე ათობით საკანონმდებლო ინიციატივაა, რომელიც დღეს ამერიკის პოლიტიკურ ისტორიაშია შესული. როგორ შეიძლება აქ პარალელის გავლება? ეს ხომ არასერიოზული იქნება. კიდევ ერთი მაგალითი შემიძლია გითხრათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო სექტორიდან თუ ვინმე ხელისუფლებაში წავა, მისი რეიტინგი უკვე ნული ხდება. ჩვენთან კი პირიქით არის. ამიტომ მსგავსი შედარებები არარელევანტური მგონია. თუმცა ის, რასაც რეიგანი ამბობდა: ყველაზე დიდი პრობლემა თავად მთავრობაა, ეს ასეა ყველა სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, აქაც მეტ-ნაკლები ოდენობით, რადგან წმინდანები პოლიტიკაში არ მიდიან.

ანატოლი ბიბილოვი: „რუსეთთან მიერთების საკითხი შეიძლება გადაიდოს“

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალის ხეგიონის ღიდეიმა ანატოლი ბიბიღოვმა პხეზიდენტად ახჩევის შემდეგ პიხობა დადო, ხომ ყვეღაფეხს გააკეთებდა, ხესპუბღიკა ხესეთის შემადგენღობაში ხომ შეეყვანა.

ამ საკითხზე ოკუპირებულ რეგიონში რეფერენდუმის ჩატარებას დიდი ხანია, რაც აპირებენ. რეფერენდუმი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ შესაძლოა ის წლის ბოლომდე ან კიდევ უფრო დიდი ხნით გადაიდოს.

რუსეთთან მიერთებაზე რეფერენდუმის ჩატარებას ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ითხოვდა ანატოლი ბიბილოვი. ახლა კი სხვანაირად ფიქრობს.

„რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ცხინვალის რეგიონის მეთაურმა განაცხადა, რომ რუსეთთან მიერთების შესახებ რეფერენდუმის ჩასატარებლად ყველაფერი თავიდან არის დასაწყები.

— რაც შეეხება რეფერენდუმს, რასაკვირველია, ვფიქრობ, რომ ის ჩასატარებელია. ამასთანავე, როდესაც გვქონდა რეფერენდუმის ჩატარების შესაძლებლობა, სამწუხაროდ, ის არ გამოვიყენეთ. დღეს ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. ყველაფერი უნდა მივიყვანოთ იქამდე, რომ რეფერენდუმმა შედეგი მოგვიტანოს.

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ექსპრეზიდენტთან გასულ წელს მიღწეული შეთანხმება, რომ რეფერენდუმი 2017 წლის არჩევნების შემდეგ უნდა გავმართოთ, რასაკვირველია, აქტუალურია. მაგრამ, სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ ძალებთან, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ძალებთან, რუსეთის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციის გარეშე, ვიდრე ჩვენ არ გავმართავთ კონსულტაციებს, არ განვსაზღვრავთ ჩვენი მომავლის ერთგვარ საგზაო რუკას, რთული იქნება რაიმე ნაბიჯების გადადგმა. თუმცა, კვლავ ვაცხადებ: არავინ უარყოფს რეფერენდუმის ჩატარების იდეას. სამხრეთ ოსეთის ხალხს უნდა მისი ჩატარება და ჩვენ, ადრე თუ გვიან, აქამდეც მივალთ. ამას ვერ გავექცევით, — განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

მან ზუსტად არ იცის, თუ როდის ჩაატარებს მიერთებაზე რეფერენდუმს. ის არ გამორიცხავს, რომ პროცესი დროში გაიწელოს. ამის ერთ-ერთ მიზეზად მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ასახელებს.

— ჩვენ უნდა გვესმოდეს ვითარება, რომელიც სამხრეთ ოსეთის ირგვლივ იქმნება. გვესმოდეს, რომ სამხრეთ ოსეთმა ეკონომიკური კავშირები ისეთ ქვეყნებთან დაამყარა, რომლებსაც, ასე ვთქვათ, არ აღიარებენ.

ამ ქვეყნების ინტერესების გაუთვალისწინებლობის უფლება არ გვაქვს, რადგან სამხრეთ ოსეთი გუშინ ისეთივე მდგომარეობაში იყო, როგორც ისინი დღეს. ამიტომ, ჩვენ ისინი არ უნდა დაგვავიწყდეს, უნდა გავმართოთ მათთან კონსულტაციები თემაზე: რა იქნება, როდესაც ჩვენ გავმართავთ რეფერენდუმს და რუსეთის შემადგენლობაში შევალთ?! კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: დრო სწრაფად გარბის, მსოფლიო სწრაფად იცვლება. ეს საკითხი განხილვის საგნად რჩება და გადაწყვეტილება მიღებული იქნება. თქვენ, ჟურნალისტები, ამას პირველები შეიტყობთ, — ამბობს „რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბიბილოვი.

გამოცემასთან საუბარში ის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტვირთების გატარებასაც შეეხო.

ოფიციალური ერევანი უკვე დიდი ხანია ითხოვს, რომ საქართველომ მათთვის როკის გვირაბი გახსნას. რამდენიმე თვის წინ ცხინვალის ხელისუფლება უარს ამბობდა ამ გზის გახსნაზე.

აქაურთა ანალიზით, დერეფნის ამოქმედება რესპუბლიკის ეკოლოგიას და უსაფრთხოებას პრობლემებს ზუსტებელი, მათ შორის, საკმაოდ მნიშვნელოვანი კომპონენტების ნაწილში. ამდენად, საჯარო სხდომებზე გვექნება უკვე სრულყოფილი, ამომწურავი, დასაბუთებული ინფორმაცია ყველა იმ კომპონენტზე, რომლის გათვალისწინებაც მოხდება ტარიფში, — განაცხადა მილორავამ.

მისივე თქმით, ბუნებრივი გაზის ტარიფებთან დაკავშირებით კომისიის გადაწყვეტილება იქნება ივნისის შუა რიცხვებში, თუმცა ძალაში შესვლის თარიღი სემეკის გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

გაძვირდება თუ არა გაზი?

ბუნებრივი აირის ახალ ტარიფებთან დაკავშირებით სემეკის გადაწყვეტილება ივნისის შუა რიცხვებში იქნება მიღებული. ამის შესახებ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ ირინა მილორავამ განაცხადა.

— კომისიის აპარატმა თითქმის დაასრულა მუშაობა ბუნებრივი გაზის ტარიფებზე, რაც წარმოდგენილი იყო 4 კომპანიის მიერ — ეს არის: განაწილების 3 ლიცენზიანტი კომპანია „ყაზტრანსგაზი“ „საქორგაზი“ და „სოკარ ჯორჯია გაზი“ ასევე ტრანსპორტირების ლიცენზიანტის — „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი. ჩვენ ველოდებით, რომ უახლოესი 2 კვირის განმავლობაში დავნიშნავთ საჯარო სხდომებს, — განაცხადა მილორავამ.

კითხვაზე — გაიზრდება თუ არა გაზის ტარიფი, ირინა მილორავას განცხადებით, ყველას ექნება შესაძლებლობა, დაესწროს სემეკის საჯარო სხდომებს.

— არის კიდევ რაღაც დეტალები დასაზუსტებელი, მათ შორის, საკმაოდ მნიშვნელოვანი კომპონენტების ნაწილში. ამდენად, საჯარო სხდომებზე გვექნება უკვე სრულყოფილი, ამომწურავი, დასაბუთებული ინფორმაცია ყველა იმ კომპონენტზე, რომლის გათვალისწინებაც მოხდება ტარიფში, — განაცხადა მილორავამ.

მისივე თქმით, ბუნებრივი გაზის ტარიფებთან დაკავშირებით კომისიის გადაწყვეტილება იქნება ივნისის შუა რიცხვებში, თუმცა ძალაში შესვლის თარიღი სემეკის გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

სასაფლაოზე ორი არასრულწლოვანი დაჭრეს

ძმების დაჭრის ბრალდებით 22 წლის მამაკაცი დააკავეს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში ორი არასრულწლოვანი დაჭრეს. 15 და 17

წლის მოზარდები გურჯაანის საავადმყოფოში მკურნალობენ.

ინციდენტი სასაფლაოზე მოხდა. დაჭრილები ძმები არიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ბრალდებული დაკავებულია.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) მუხლებით მიმდინარეობს.

„თი-ბი-სი ფეის“ ინკასაციის თანამშრომლების დაყაჩაღების ბრალდებით ორი პირი დააკავეს

29 მაისს თბილისში, დოლიძის ქუჩაზე, მამაკაცი დააყაჩაღეს. აღნიშნული დანაშაული სამართალდამცავებმა გახსნეს:

– შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, ორი პირი: 1993 წელს

დაბადებული გ.კ. და 1993 წელს დაბადებული ვ.ს. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, დოლიძის ქუჩაზე, „თი-ბი-სი ფეის“ ინკასაციის 2 თანამშრომელი იარაღის მუქარით დააყაჩაღეს, 38.025 ლარის ეკვივალენტი სხვადასხვა ვალუტა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან 2 დღეში, გ.კ. თბილისში, ხოლო ვ.ს. დედოფლისწყაროში დააკავეს.

პოლიციამ, გ.კ.-ს საცხოვრებელი ბინის და ვ.ს.-ს სახლის ჩხრეკისას, გატაცებული თანხის ნაწილი – 16.000 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღო. ვ.ს.-ს სახლიდან ასევე ამოღებულია 2 პისტოლეტი, რომლებიც გადაგზავნილია ექსპერტიზაზე.

ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით), – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

ავარია მცხეთაში — დაშავებულია 12 ადამიანი

თბილისიდან მცხეთის მიმართულებით მიმავალი სამარშრუტო ტაქსი განათების ბოძს შეეჯახა. დაშავებულია 12 ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში არიან მოთავსებული.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

რატომ დაუჭირა მხარი აშშ-მ კოსოვოს და არ დაუჭირა აფხაზეთს

ლატვიური გაზეთის კორესპონდენტი იურის პაიდერსი ესაუბრება აშშ-ის ყოფილ ელჩს საბჭოთა კავშირში (1987-91 წლებში), ცნობილ დიპლომატს ჯეკ მეტლოკს, რომელიც რიგაში გამართული საერთაშორისო კონფერენციის „ბალტიის ფორუმის“ სტუმარი იყო.

ინტერვიუში ჯეკ მეტლოკი იხსენებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლად გამოცხადების პერიოდს, აშშ-ის იმდროინდელ პოზიციას, შემდეგ ეხება ვაშინგტონის თანამედროვე ურთიერთობას რიგა-ვილნიუს-ტალინთან, მოსკოვთან და ა.შ. იგი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ომი აშშ-რუსეთს შორის არ მოხდება.

ჯეკ მეტლოკი საუბრობს აგრეთვე თეთრი სახლის მიერ დაშვებულ შეცდომებზე სსრ კავშირის დაშლის დროს, ახალი სახელმწიფოების შექმნის პერიოდში...

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

– თქვენ რომ დღეს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მრჩეველი იყოთ, რასურჩევდით მას რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხში უკრაინასთან მიმართებით?

– პირველი – ჩემი აზრით (და მე ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ), უკრაინის ამბები (ყირიმის ჩათვლით) საერთოდ არ მოხდებოდა, რუსეთის პრეზიდენტისათვის გარანტიები რომ მიეცათ იმაში, რომ უკრაინას ნატოში არ მიიღებდნენ.

მეორე – დონბასისა და ყირიმის პრობლემა ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ, როგორც სხვადასხვა საკითხი. რატომ? ახლავე გეტყვით: ყველა სასაზღვრო-ტერიტორიული პრობლემა ყოფილი იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, დაკავშირებული იყო ერთ მთავარ პრობლემასთან: ახლად შექმნილ სახელმწიფოებს არ გააჩნდათ მტკიცედ ჩამოყალიბებული მიდგომები მათივე ქვეყნებში მცხოვრებ ეთნიკურ თუ ეროვნულ უმცირესობებთან. საბჭოთა კავშირში და იუგოსლავიაში არსებობდნენ ავტონომიები.

სერბეთში, მაგალითად, კოსოვო. საქართველოში ორი ავტონომია – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ყველაზე პირველი, რაც ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა განახორციელეს, ეს ავტონომიების გაუქმება იყო. ეს ნაბიჯი საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდეც კი გადადგა. სერბეთისა და კოსოვოს შემთხვევაში ჩვენ (ვაშინგტონმა) ერთი პოზიცია დავიკავეთ – მხარი დავუჭირეთ კოსოვოელ ალბანელებს, საქართველოს შემთხვევაში კი სრულიად სხვა გადაწყვეტილება მივიღეთ – მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებას გამოვუცხადეთ.

სამწუხაროდ, არც საერთაშორისო სამართლისა და არც საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში არ დაგვიყენებია ახალი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი ყოფილი ავტონომიების წინაშე. უნდა ეცათ თუ არა მათ პატივი საკუთარი ავტონომიებისათვის? თუ ძალის გამოყენებით უნდა მოეხდინათ მათი ლიკვიდაცია? ამ საკითხში ჩვენ თანმიმდევრული პოზიცია არ გვქონდა.

მესამე – აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ გეოპოლიტიკურად ყირიმს რუსეთისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს – იქ შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მთავარი ბაზაა დისლოცირებული.

თუ გადავხედავთ უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ უკრაინა ყირიმის გარეშე უფრო პოლიტიკურად სტაბილურია. უკრაინის მთავრობა ყირიმის ყოველგვარი ავტონომიის წინააღმდეგ გამოდიოდა. ისეთი ლიდერი, როგორიც ვიქტორ იანუკოვიჩი იყო, ვერასოდეს ვერ იქნებოდა არჩეული უკრაინის პრეზიდენტად, მისთვის ხმები ყირიმს რომ არ მიეცა.

უკრაინაში იყო ოლქები, სადაც ერთი ლიდერი 90%-ით იღებდა ხმებს, ხოლო მეორე ლიდერი სხვა ოლქებში – ასევე 90%-ით, ვთქვათ, დონბასში. ანუ მე იმის თქმა მინდა, რომ უკრაინაში არ იყო ისეთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ქვეყანას გააერთიანებდა. რაც შეეხება დონბასს, რუსეთმა აშკარა შეცდომები დაუშვა და მომხდარი მის ინტერესებში არ შედიოდა.

ვლადიმერ პუტინი: „დასავლეთმა ფეხები დაადო ჩვენს შიდა პოლიტიკას, თავზე დაგვაჯდა, ფეხები გადმოდო და „კევს“ ღეჭავს, მორჩით ამას“

– ეს ბევრი წლის განმავლობაში უხეში და სისტემური, მათ შორის დიპლომატიურ დონეზე, ჩარევაა უშუალოდ ჩვენს შიდა პოლიტიკაში, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას.

– დასავლეთმა ფეხები დაადო ჩვენს შიდა პოლიტიკას, თავზე დაგვაჯდა, ფეხები გადმოდო და „კევს“ ღეჭავს. მორჩით ამას, – განუცხადა ვლადიმერ პუტინმა დისკუსიის მოდერატორს, ამერიკელ ჟურნალისტს მეგინ კელის.

მიხეილ სააკაშვილმა თავის მიზნად უკრაინაში ხელისუფლების შეცვლა დაასახელა

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის მიზნად უკრაინაში ხელისუფლების შეცვლა დაასახელა.

აღნიშნული განცხადება მიხეილ სააკაშვილმა მინისტრთა კაბინეტის შენობასთან გამართულ აქციაზე გააკეთა, სადაც „ჩერკასიობლენერგოს“ თანამშრომლები მათთვის ხელფასის გადახდას ითხოვდნენ.

– ჩემი მიზანია ამ ხალხს დავეხმარო. როგორ დავეხმარო მათ?! მხოლოდ გუნდთან ერთად! მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობით, ახალი მთავრობით, ახალი ხალხით! სრულად უნდა გადავაყენოთ ძველი პოლიტიკური კლასი, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, „ყველაფერი ეს ცუდად დასრულდება პოროშენკოსთვის, ხოლო ხალხისთვის კი – კარგად“.

მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ჯერ მზად არ არის განაცხადოს, წარადგენს თუ არა თავის კანდიდატურას უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე.

– ჯერ მზად არ ვარ განვაცხადო, წარვადგენ თუ არა ჩემს კანდიდატურას უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე. მაგრამ მე თანამდებობები არ მჭირდება. პეტრო პოროშენკომ პირადად შემომთავაზა პრემიერ-მინისტრის პოსტი, მაგრამ მე უარი განვაცხადე, – დასძინა მან.

„მე ის ხელებში ჩამაკვდა“ – რას აცხადებს ქირურგი, რომელსაც ბრალად დიანა ბერიძის მკვლელობა ედება

ქირურგი, რომელსაც ბრალად 36 წლის დიანა ბერიძის მკვლელობა ედება, აღიარებს, რომ ქალის სიკვდილის მიზეზი სამედიცინო შეცდომა იყო.

აქამდე ექიმი ამტკიცებდა, რომ იმ დღეს პაციენტს საერთოდ არც კი შეხვედრია. გარდაცვლილის დნმ, რომელიც ქირურგის მანქანაში იპოვეს, ამტკიცებდა მის მკვლელობაში მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ 26 აპრილს დიანა ბერიძემ თესალონიკის ერთ-ერთ საავადმყოფოს მიკროქირურგიული ოპერაციისთვის მიმართა. ოპერაციის დასრულების შემდეგ, ის აღარავის უნახავს. 9 დღის შემდეგ კი, სამართალდამცავებმა ახალგაზრდა ქალის გვამი ხალკიდიკის ერთ-ერთი მდინარის სანაპიროზე იპოვეს. ოჯახის ინფორმაციით, დიანა ბერიძის სიკვდილის

მიზეზი ანესთეზიის გადაჭარბებული დოზა გახდა.

ბერძნული მედიის მიხედვით, ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს, თუ როგორ ჩადო 38 წლის ქირურგმა საკუთარ მანქანაში ქალის გვამი 23:00 საათზე და ხალკიდიკის მიმართულებით, ერთ-ერთ სოფელში წავიდა, სადაც ის მდინარეში გადააგდო.

ოჯახი ამბობს, რომ სხეული დანაწევრებული იყო და ზოგიერთი ნაწილის დაკრძალვაც კი ვერ მოახერხეს, საგამოძიებო პროცედურების გამო.

მათი თქმით, გამოძიება ასევე მიმდინარეობს სხვა ექიმების ორგანოებით ვაჭრობაში შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ბერიძემ საქართველო ოჯახთან ერთად 6 წლის წინ დატოვა. მას მეუღლე და სამი შვილი ჰყავდა.

გამოძიების მსვლელობისას ექიმმა შეცვალა თავისი ჩვენება და განაცხადა, რომ არა მხოლოდ ნახა, არამედ პაციენტს ოპერაციაც გაუკეთა. მისი თქმით, სიკვდილის მიზეზი სამედიცინო შეცდომა გახდა და ის ხელებში ჩააკვდა.

„მაყურებლის სტატუსი“ და ე.წ. ქურდული გარჩევა ხობის ცენტრში — არიან დაჭრილები

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ე.წ. ქურდულ გარჩევას ჰქონდა ადგილი ხობში. ადგილობრივი კორესპონდენტის ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკება „მაყურებლის სტატუსის“ დანიშვნაზე მოხდა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით,

გ.ხ. ზურგის არეში დაჭრეს და წმინდა ლუკას ცენტრში ჰყავდათ გადაყვანილი, სადაც ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის მისი მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა და ის ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული.

მომხდარს „ნიუპოსტთან“ ადასტურებენ ადგილობრივებიც. მათი ინფორმაციით, დაჭრილია რამდენიმე პირი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და იკითხება დაჭრილი, დაზარალებულის თქმით, მან მიიყენა თვითდაზიანება. სხვა ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში პოლიცია იმოქმედებს შესაბამისად. მომხდარზე გამოძიება ამ დროისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით გულისხმობს.

სასტუმრო საქართველოს გასხვისებას პრეტენზიული მეწილეებიც აფერხებენ

სასტუმრო „საქართველოს“ გასხვისების პროცესი გაჭიანურდა. მიუხედავად ინვესტორთა მაღალი ინტერესისა, გარიგება ამ დრომდე ღია.

კომპანიის ადვოკატმა შალვა კაციაშვილმა ჩ-ს განუცხადა, რომ არაბული „არაბელა ინვესტ გრუპის“ ერთ-ერთი დირექტორი ახლაც თბილისშია და ამ დღეებში მისი პარტნიორებისგან თანხის ნაწილის ჩარიცხვას ელიან.

კაციაშვილი თანხის გადახდის პრობლემას ვერ ხედავს, რადგანაც ინვესტორების ფინანსურ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება.

– ბანკთან ახლაც გამართეს მათ მოლაპარაკებები, თანხის ნაწილი 4 მლნ აშშ დოლარი ჩარიცხულია და დღე-დღეზე ველოდებით ნაწილის ჩარიცხვას, – ამბობს ადვოკატი. იგი აღნიშნავს, რომ პროცესი სხვადასხვა მიზეზების გამო გაჭიანურდა, მათ შორისა ადგილობრივი მეწილეთა ნაწილის „პრეტენზიებიც“.

ამ დრომდე უცნობია, როდის დატოვებენ სასტუმრო „საქართველოს“ დევნილები და როდის დაიწყება მისი დაანონსებული 7-ვარსკვლავიან სასტუმროდ შენობის რეკონსტრუქციაც.

დევნილების განსახლებისთვის არაბული კომპანია 1 მლნ დოლარს იხდის, დაახლოებით ამდენივეს ამატებს სახელმწიფოც, რომელიც მზადაა თანხა შეუფერხებლად გამოყოს.

18 აპრილს კიდევ ერთხელ შეიცვალა შპს „საქართველოს“ მეწილეების მონაცემები. „არაბელა ინვესტ გრუპის“ წილი კომპანიაში 73%-დან 76.97%-მდე გაიზარდა. წილი ანრი ბაციკაძემ დათმო. აღსანიშნავია, რომ წილზე განვადებით ნასყიდობა ვრცელდება.

როგორც ცნობილია, მყიდველმა გამყიდველს ჯამში 16,5 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაუხადოს, თუმცა აქედან დიდი ნაწილი, 12 მილიონამდე თანხა, პირდაპირ ბანკ „ქართუში“ არსებული დავალიანების დაფარვას მოხმარდება.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია – აფბა ქვეყნის საფინანსო სექტორში ფინანსურ პირამიდებთან დაკავშირებით კვლევას აგრძელებს და მთავრობასა და ეროვნულ ბანკს რეკომენდაციებით მიმართავს. როგორც „აფბას“ ვიცე-– პრეზიდენტი, პაატა ბაირახტარი აღნიშნავს, დღეს ქვეყანაში ფინანსური პირამიდების მომრავლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, არსებული კანონის მოუქნელობა და კანონში დარჩენილი ხვრელებია, რომლითაც თაღლითური სქემით მომუშავე კომპანიები სარგებლობენ.

– მოქმედი კანონით, ფინანსურ კომპანიები, რომლებიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად (შპსს) თამასუქებს გასცემენ, ეროვნული ბანკის რეგულირების მიღმა არიან დარჩენილები და ეროვნულ ბანკს მათი დოკუმენტაციის შემოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ორგანიზაციას ცნობს კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად. თავის მხრივ კი კომპანიას იმისთვის, რომ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსი მიენიჭოს, ფინანსური სახსრები მოზიდული უნდა ჰქონდეს 4-ზე მეტი ფიზიკური პირისგან ან მოზიდული თანხების ოდენობა უნდა აღემატებოდეს 5 მლნ ლარს.

დღეს აღსრულების მექანიზმები პრაქტიკულად ფორმალურ ხასიათს ატარებს იმდენად, რამდენადაც, თუ საქმე გვაქვს თაღლითური სქემით მომუშავე საფინანსო ინსტიტუტთან, ის კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარების შემდეგაც არ წარგენს თავის ფინანსურ დოკუმენტაციას ეროვნულ ბანკში, რადგან ასეთ შემთხვევაში მისი ფინანსური მაქინაციების შესახებ ცნობილი გახდება. არსებული კანონით კი მსგავსი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სებ-ს ერთადერთი ბერკეტი გააჩნია და ეს არის 1.000 ლარიანი ჯარიმა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საფინანსო ინსტიტუტის მხრიდან მსგავსი დაუმორჩილებლობის განმეორების შემთხვევაშიც ჯარიმის ოდენობა არ იზრდება, შესაბამისად, ცხადია, კომპანიას, რომელიც პირამიდის სისტემით მოქმედებს, ურჩევნია 1.000 ლარიანი ჯარიმის გადახდა, ვიდრე იმ სქემის შესახებ მარეგულირებლისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომლითაც სოლიდურ მოგებას ღებულობს.

– აფბა მიიჩნევს, რომ გაურკვეველი წარმომავლობის საკრედიტო ინსტიტუტების მხრიდან მსგავსი დაუმორჩილებლობა საფუძვლიან ეჭვს აჩენს ამ უკანასკნელის არაკეთილსინდისიერ საქმიანობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სხვა მოქალაქეების დაცვის მიზნით, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები და მსგავსი კომპანიების წინააღმდეგ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, – განაცხადა ბაირახტარმა.

ბაირახტარმა მიმდინარე საკანონმდებლო ინიციატივაზეც ისაუბრა, რომლის მიხედვითაც იგეგმება მიკროსაფინანსოებისთვის და სხვა ფინანსური კომპანიებისთვის ფინანსური რესურსის მოზიდვაზე ლიმიტის დაწესება და აღნიშნა, რომ აღსრულების რეალური მექანიზმების გარეშე ამ ინიციატივასაც არ ექნება არსებითი მნიშვნელობა.

– ჩვენ ვიცით, რომ მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს საკანონმდებლო ცვლილებაზე მუშაობა, რომლის მიხედვითაც ის ფინანსური კომპანიები, რომლებიც 20-ზე მეტი ადამიანისგან 100.000 ლარზე მეტ ფინანსურ რესურსს იზიდავენ, ვალდებულები იქნებიან სებ-ში წარადგინონ ანგარიში. ცვლილება, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ ამ ცვლილების ეფექტიანობისთვის აუცილებელია იმ საკანონმდებლო ხვრელის ამოვსება, რომელიც თაღლითურ ორგანიზაციას საშუალებას უტოვებს, თავი აარიდოს მაკონტროლებელს, – აღნიშნა ბაირახტარმა.

მისივე შეფასებით, რეალური არგუმენტების არსებობის შემთხვევაში, რომ კომპანია ფინანსური პირამიდის სქემით მოქმედებს, აუცილებელია დაუყოვნებლივი და ხისტი ნაბიჯების გადადგმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაკოტრებისთვის განწირული კომპანია კიდევ უფრო ბევრი ადამიანის ჩბმას ეცდება სქემაში თავის გადასარჩენად.

– ფინანსური პირამიდის სქემის ნიშნების შემჩნევისას აუცილებელია დაუყოვნებლივი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ისეთების როგორიცაა, დაუყოვნებლივი დადგენა, თუ რა წყაროებიდან იზიდავს კომპანია ინვესტიციებს, საკმარისია თუ არა არსებული ვალდებულებების დასაფარად, აღემატება თუ არა კომპანიის ვალდებულებები მფლობელობაში არსებულ აქტივებს, იფარება თუ არა კომპანიისა და ინვესტორების ვალდებულებები ახლად შემოსული ინვესტიციებით. აღნიშნულის დადგენა კი დღეს არსებული კანონით პრაქტიკულად შეუძლებელია, – აღნიშნა ბაირახტარმა.

თბილისის შემოგარენში უძრავი ქონების შეძენაზე მოთხოვნა იზრდება

გადატვირთული მოძრაობის, დაბინძურებული ჰაერისა და ეკოლოგიური პრობლემების გამო, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საცხოვრებლად ქალაქგარეთ გადადის.

უძრავი ქონების სააგენტოებში ამბობენ, რომ ბოლო 4-5 წლის განმავლობაში თბილისის შემოგარენში სახლის და მიწის ნაკვეთის შეძენის მსურველთა რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა. რეალტორების თქმით, პოპულარულ მიმართულებებს შორისაა ცხვარიჭამია, წყნეთი, კიკეთი, წავკისი, საგურამო და სხვა დასახლებული პუნქტები.

ჯანდაცვის მსოფლიოში ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, დედამიწაზე ყოველი 10 ადამიანიდან 9 იმ გარემოში ცხოვრობს, სადაც ჰაერის დაბინძურების მაღალი დონე ფიქსირდება. ჰაერის დაბინძურება პრობლემაა საქართველოშიც, განსაკუთრებით დედაქალაქში, რის შედეგადაც ყოველწლიურად დაავადებების რიცხვი კატასტროფულად მატულობს. ამიტომ, ეკოლოგების თქმით, თბილისში ცხოვრებას ქალაქგარეთ გადასახლება სჯობს.

ეკოლოგების თქმით, ქალაქში ტრანსპორტისა და შუშის შენობების მომრავლების გამო, ეკოლოგიურად სუფთა გარემო ვერ იქმნება. როგორც ექსპერტები განმარტავენ, ქალაქგარეთ ცხოვრების ტენდენცია, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ბუნების დამცველების განცხადებით, თბილისთან ახლოს ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებლის თვალსაზრისით რამდენიმე ადგილია, მათ შორის: კიკეთი, ცხვარიჭამია, ნატახტარი, წეროვანი, წავკისი, წყნეთი და სხვ.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარე რუსუდან სიმონიძე მიიჩნევს, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით ქალაქში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა, მისი განცხადებით, ქალაქგარეთ ცხოვრება უმჯობესია.

საქართველოს რეალტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი თენგიზ გადელიას განცხადებით, საკმაოდ მოთხოვნადია საგურამო, კიკეთი, წყნეთის მიმართულებები. ამის მიზეზი კი რამდენიმეა. პირველი, დედაქალაქთან სიახლოვე, მეორე, გასული წლებისგან განსხვავებით დასახელებული ადგილების ინფრასტრუქტურულად განვითარება და მესამე – ეკოლოგიური სისუფთავე.

გადელიას განცხადებით, გასული წლებისგან განსხვავებით წელს თბილისის შემოგარენში უძრავ ქონებაზე ტრანზაქციები მომატებულია.

– ზრდის მაჩვენებელი თბილისელებზე მოდის. ვინც მართლა თბილისელია, მას ყელში აქვს ამოსული ხმაური, ბევრი ავტომანქანა. თბილისის შემოგარენში უძრავი ქონების შესყიდვით ძირითადად ეს სეგმენტი ინტერესდება, – აცხადებს გადელია. მისი თქმით, ადამიანები თბილისის შემოგარენში ქონებას ხშირ შემთხვევაში აგარაკებისთვის ყიდულობენ.

რეალტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი თენგიზ გადელია პროგნოზსაც აკეთებს და აცხადებს, რომ მოთხოვნა კიდე უფრო გაიზრდება, თუ თბილისის ცენტრალურ უბნებში კიდევ უფრო გადაიტვირთა მშენებლობები და ქალაქი მანქანებისგან არ განიტვირთება.

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი რატი აბულაძე განმარტავს, რომ თბილისის შემოგარენის, როგორც ცენტრიდან დაშორებული სივრცის ფორმირებაზე გავლენა იქონია პრემიუმ კლასის მოთხოვნის ვექტორმა და სტრუქტურის ცვლილებამ, რაც აისახა დედაქალაქის შემოგარენის გამოცოცხლებასა და საცხოვრებელი ბაზრის გააქტიურებაში.

– ვინაიდან და რადგანაც საგარეუბნო ზონები საკურორტო ზონებს მიეკუთვნება, მათი ღირსებები ისტორიულადაა ცნობილი, შესაბამისად, დღევანდელ ტენდენციას პროცესების გაცოცხლება და ერთგვარი „დემოგრაფიული ინვერსია“ წარმოადგენს, – აცხადებს რატი აბულაძე.

საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი განმარტავს, იმაზე ხმამაღლა საუბარიმ რომ თბილისის შემოგარენი ვითარდება, არასწორია. როგორც როსტომაშვილი განმარტავს, განვითარება მასშტაბური არ არის. – ადრე უფრო შენდებოდა, რადგან თბილისის შემოგარენში მსგავსი უბნები ადრე არ იყო. წყნეთი, მუხათწყარო და წავკისი არ იყო ასე განვითარებული და რამდენიმე წლის წინ განვითარდა. ახლა ახალი დასახლება არაფერი აშენებულა. ისეთი მასშტაბური განვითარება არ არის. ეს უბნები ადრე ჩამოყალიბდა, – აცხადებს როსტომაშვილი.

ქალაქის შემოგარენში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა რომ მკვეთრად გაზრდილია, ამაზე საუბრობენ უძრავის ქონების სააგენტოებიც. მათი განცხადებით, თბილისის ცენტრალური უბნები საკმაოდ გადატვირთულია როგორც მშენებლობებით, ისე მანქანებით, ამიტომ მოსახლეობა ცხოვრებას ბევრად უფრო მყუდრო და მშვიდ გარემოში არჩევს.

რამდენიმე თვის წინ უძრავი ქონების სააგენტო „ბონუსის“ დირექტორი ილია ინაშვილი განმარტავდა, რომ ქალაქის შემოგარენში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მკვეთრად გაზრდილი იყო.

– თბილისთან ახლო რაიონებში მიწის ნაკვეთები ყოველთვის მოთხოვნადი იყო. პრობლემას მხოლოდ კომუნიკაციების არარსებობაა წარმოადგენს. მაგრამ, როდესაც გამოსწორდება, მოთხოვნაც უფრო მეტად გაიზრდება.

რაც შეეხება უშუალოდ უძრავი ქონების გაყიდვებს, ამაზე მოთხოვნა ყოველთვის იყო და ახლაცაა. თბილისის შემოგარენში გაყიდვების კუთხით ბოლო 4-5 წლის ტენდენციას რომ გადახედოთ, ვნახავთ, რომ ეს წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება, – აცხადებდა ილია ინაშვილი.

იაპონია საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო პროცედურებს ამარტივებს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ იაპონიაში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფუმიო კიშიდასთან.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, შეხვედრაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო პროცედურების გამარტივებისა და იაპონიასა და საქართველოს შორის საინვესტიციო შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყების თაობაზე მიიღეს გადაწყვეტილება.

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განსაკუთრებით აღნიშნეს მიმდინარე წლის, როგორც საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საიუბილეო თარიღის – 25 წლისთავის მნიშვნელობა. მინისტრების შეფასებით, ამ ხნის განმავლობაში ორი ქვეყნის მეგობრობა ეფუძნება საერთო ფასეულობებს, როგორიც არის დემოკრატიული განვითარება, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და საბაზრო ეკონომიკა.

იაპონიისა და საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა მზადყოფნა გამოთქვეს, მომავალში აქტიურად ითანამშრომლონ საქართველო-იაპონიის ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადასაყვანად, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიც არის: ეკონომიკა, ენერგეტიკა, ინოვაციები, მაღალი ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფუმიო კიშიდამ იაპონიასა და საქართველოს შორის ორმხრივი ინვესტიციების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყების თაობაზე განაცხადა, როგორც მინისტრებმა აღნიშნეს, ეს ახალ შესაძლებლობებს მისცემს ორივე ქვეყანას, განავითარონ ბიზნესის და ეკონომიკური კავშირები და ასევე იქნება კარგი სიგნალი იაპონური საქმიანი წრეებისთვის, დაინტერესდნენ საქართველოს საინვესტიციო და ეკონომიკური შესაძლებლობებით. ხაზი გაესვა საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობას და ქვეყანაში არსებულ ლიბერალურ ბიზნეს კლიმატს.

ფუმიო კიშიდას განცხადებით, იაპონია, ასევე გაამარტივებს სავიზო მოთხოვნებს საქართველოს მოქალაქეებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ხალხთაშორისი ურთიერთობების გაღრმავებას, თანამშრომლობას ტურიზმის სფეროში.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, საქართველოში არსებული უსაფრთხო გარემოს გათვალისწინებით, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე იაპონიის მოქალაქეებისათვის არსებულ ე.წ. თრაველ ადვისერ-ში საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის, შესახებ მონაცემი გაუმჯობესდება, რაც დამატებით შეუწყობს ხელს საქართველოში იაპონელი ტურისტების მოზიდვას.

მინისტრები შეთანხმდნენ, ხელი შეუწყონ შემდგომი თანამშრომლობის განვითარებას ინოვაციების, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში. საქართველომ გამოხატა დაინტერესება, ამ მხრივ გაიზიაროს იაპონიის გამოცდილება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა იაპონიურ მხარეს საქართველოს როგორც პოლიტიკური, ასევე მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოში იაპონიის განვითარების სააგენტოს JICA-ს წარმატებული საქმიანობა. იაპონიის მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, მომავალშიც განაგრძოს აქტიური ჩართულობა საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა იაპონელ კოლეგას მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების შესახებ. იაპონიის მხარემ კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.

შეხვედრაზე ასევე განსაკუთრებით აღინიშნა საერთაშორისო ფორმატებში საქართველო-იაპონიის წარმატებული თანამშრომლობა. მინისტრებმა გამოთქვეს მზადყოფნა, იმუშაონ ქვეყნებს შორის მაღალი დონის ვიზიტების გაცვლაზე. მიხეილ ჯანელიძემ იაპონიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი საქართველოში ოფიციალურად მოიწვია.

აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღო

აშშ-მ სანქციები შემოიღო იმ რუსული ფირმების მიმართ, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობდნენ.

ახალი სანქციების შემოღება პუტინ-ტრამპის დიალოგს დიდ პრობლემებს უქმნის.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ განაცხადა, რომ მომხდარის გამო რუსული მხარე გულდაწყვეტილია.

– ჩვენ ვიცით, რომ ტრამპს სულ სხვა ხედვა ჰქონდა და რუსეთთან მუშაობაც სხვანაირად სურდა! აშშ-ის პრეზიდენტს ამის საშუალება არ მისცეს, – ამბობს ზახაროვა.

ესტონეთი რუსეთს ბრალს სდებს

ესტონეთის პრეზიდენტმა კერსტი კალიუსლაიდმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ესტონეთის ტერიტორიაზე ფაშისტური დაჯგუფებების შექმნის მიზანი ცხადია: ესტონეთის დესტაბილიზაცია, მისი საერთაშორისო დისკრედიტაცია.

– ესტონელებს რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნება არ სურთ! ჩვენ ევროკავშირის წევრები ვართ და ევროპული სტანდარტებით გვინდა ცხოვრება, – თქვა აკალიუსლაიდმა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ კრემლის ძირგამომთხრელი საქმიანობა უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა. ფაშისტური მოძრაობების დაფინანსებაც ამის ატრიბუტია.

მოლდოვიდან ამჯერად რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი გააძევეს

კიშინიოვში რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი გლებ პოკატოვიჩი ჩავიდა. აქედან ის ტირასპოლში უნდა გამგზავრებულიყო და ე.წ. დნესტრისპირეთის მთავრობასთან ორმხრივი ურთიერთობების საკითხები განეხილა. კიშინიოვში ჩასული პოკატოვიჩი მოლდოვის პოლიციამ დააკავა.

– დნესტრისპირეთი მოლდოვის განუყოფელი ნაწილია. მასთან ნებისმიერი კონტაქტები მოლდოვის ხელისუფლების თანხმობით უნდა ხდებოდეს, პოკატოვიჩმა კი თავისი განზრახვის თაობაზე საქმის კურსში არ ჩაგვაყენა, – განაცხადა მოლდოვის პრემიერ-მინისტრმა პაველ ფილიპმა.

ცეცხლზე ნავთი დაასხა თავად პოკატოვიჩის სიტყვებმა, რომ ის რუსეთის მთავრობის წარმომადგენელია და მის წინააღმდეგ ნებისმიერ ძალადობას სათანადო რეაქცია მოჰყვება.

– რუსეთს შეუძლია, მოლდოვა ერთი თითის დაქნევით გააცამტვეროს! – თქვა მან.

პასუხად პოკატოვიჩი მოლდოვიდან დეპორტირებულ იქნა.

მანილა: თავდასხმა კაზინოზე

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ტერაქტი მოხდა. უცნობმა მამაკაცმა კაზინოში შაშხანიდან ცეცხლი გახსნა, შემდეგ მაგიდებს ცეცხლი წაუკიდა. თავდასხმის შედეგად 36 ადამიანი დაიღუპა. ნაწილი ტერორისტის ტყვიამ იმსხვერპლა, ნაწილი კვამლისაგან გაიგუდა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

ფილიპინებზე უკვე საკმაო ხანია მიმდინარეობს შეიარაღებული დაპირისპირება ისლამისტ პარტიზანებსა და ხელისუფლებას შორის. პრეზიდენტმა დუტერტემ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ტერაქტები არ ცხრება.

ვენესუელის პრეზიდენტს რეფერენდუმის ჩატარება სურს

ვენესუელის პრეზიდენტმა მადურომ პარლამენტს უმოქმედობა დასდო ბრალად. მისი აზრით, პარლამენტი ქვეყანას კი არ მართავს, პოლიტიკური თამაშებით არის გატაცებული.

– მათი ძირითადი მიზანი ჩემი გადაყენებაა, – თქვა მადურომ.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩატარდება რეფერენდუმი, რათა ამჟამინდელი პარლამენტი საპარლამენტო ასამბლეამ ჩაანაცვლოს, მის შემადგენლობას კი თავად პრეზიდენტი განსაზღვრავს. აღნიშნული განცხადება ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე გაისმა. ხალხი მადუროს გადაყენებას მოითხოვს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რა განაპირობებს ევროკავშირის სიძლიერეს ახალ რეალობაში

დასავლელი ექსპერტები: „რუსეთის მხრიდან იქნება ახალი საფრთხე“

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის პრეზიდენტის ევროპაში ვიზიტის უარყოფითი შედეგები ისევ განხილვის საგნად რჩება მსოფლიოში.

დასავლელი მიმომხილველების შეფასებით, აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მონაწილეობამ ნატოს სამიტსა და დიდი შვიდეულის შეხვედრაში დიდი ბზარი გააჩინა ევროკავშირსა და აშშ-ს შორის. ამის შემდეგ გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმაც აღიარა, რომ ევროპას ამერიკის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

შვედი ანალიტიკოსების თქმით, იმ დროს, როცა ევროკავშირისა და ნატოს წევრები მოითხოვენ აშშ-ის აქტიურ მონაწილეობას ევროპის საქმეებში, ტრამპს არ სურს, რომ ამერიკა ტრადიციული მოკავშირეების მხარდამჭერი იყოს. აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლებმა ორ სამიტზე გამოიწვია ევროატლანტიკური კავშირის გაწყვეტა.

დონალდ ტრამპმა უხეშობა გამოამჟღავნა ევროკავშირისა და ნატოს მაღალჩინოსნების მიმართ. სამაგიეროდ, იგი თბილად უღიმოდა ლიდერებს ახლო აღმოსავლეთში.

ტრამპის უარი, დაედასტურებინა ნატოს წესდებაში ჩადებული უსაფრთხოების გარანტიები, შვედი ექსპერტების აზრით, აძლიერებს რუსეთის შესაძლებლობებს. რუსეთისგან საფრთხე ძლიერდება ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთში. უსაფრთხოების საკითხებში არ არსებობს ერთიანობა აშშ-ში. ტრამპი კი ასრულებს თავის წინასაარჩევნო დაპირებას – „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“.

„ფორინ პოლისის“ ინფორმაციით, ვაშინგტონს ევროკავშირის მაღალჩინოსნებთან ტრამპის ვიზიტამდეც გაურთულდა ურთიერთობა.

კერძოდ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა უარი თქვა სატელეფონო საუბარზე ევროკავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელ ფედერიკა მოგერინისთან. ეს მოხდა აპრილში ტილერსონის რუსეთში ვიზიტის შემდეგ. ფედერიკა მოგერინის და ევროპელ მოკავშირეებს პირველწყაროდან უნდოდათ გაეგოთ რუსეთში გამართული ამერიკა-რუსეთის მოლაპარაკებების დეტალები. ფედერიკა მოგერინის ამ საკითხზე დიალოგისათვის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის უფრო დაბალი რანგის მოხელე შესთავაზეს. ამაზე ფედერიკა მოგერინიმ უარი თქვა.

გამოცემის სიტყვებით, მოგერინისთან და მთლიანობაში ევროკავშირთან ურთიერთობის გაფუჭება ცუდ შედეგებს მოიტანს, ვინაიდან მოკავშირეებს ბევრი საერთო პრობლემა აქვთ.

გაზეთი „ფიგაროს“ აზრით, აშშ-ის პრეზიდენტის საქციელი ზიანს აყენებს ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს, თუმცა ამან შეიძლება გამოაფხიზლოს ჩაძინებული ევროპა.

ევროპისთვის იმედის მომცემია, რომ პირველ კვარტალში შეინიშნებოდა ევროზონის ეკონომიკური ზრდა. მიგრაციულმა კრიზისმა მეორე პლანზე გადაინაცვლა, საფრანგეთში ემანუელ მაკრონის გამარჯვებამ კი დაასამარა უკიდურესად მემარჯვენე ძალების ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივა. რადიკალების მოსვლა არ არის მოსალოდნელი არც გერმანიაში. ანგელა მერკელის კონკურენტი, მარტინ შულცი არანაკლებ ევროპელი და ევროკავშირის გულშემატკივარია, ვიდრე ანგელა მერკელი.

მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ევროკავშირის გადარჩენა გერმანია-საფრანგეთის ლიდერებზეა დამოკიდებული.

ფრანგული გამოცემის აზრით, გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელებმა ყველაზე აქტიურად სამ ფრონტზე უნდა იმუშაონ – ესაა ევროზონის გამოცოცხლება, ევროპის თავდაცვის სისტემის შექმნა და კლიმატის შესახებ შეთანხმების რეალიზაცია.

შექმნილი რთული სიტუაცია აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებისათვის უფრო მძიმეა, ვიდრე ევროკავშირისთვის. კარგი დღეები არც პუტინს უდგას, ის ანელებს მოქმედებებს სირიასა და უკრაინაში.

რუსეთის როლის გაძლიერებას, მათ შორის, ევროაზიაში, გამორიცხავს „სტრატფორი“. მისი ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის გავლენის შემცირებას ხელს შეუწყობს დემოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული და ტექნოლოგიური ცვლილებები. რუსეთს დემოგრაფიული კატასტროფა ელოდება იმ დროს, როცა თურქეთისა და ირანის მოსახლეობა, პროგნოზების თანახმად, საგრძნობლად გაიზრდება.

კალეიდოსკოპი

სამმეტრიანი ზვიგენი ავსტრალიელს ნავში ჩაუხტა



ავსტრალიაში თეთრი ზვიგენი, რომლის სიგრძე 2.7 მეტრს აღწევდა, ძრავიან ნავში ჩახტა, რომელშიც მეთევზე იმყოფებოდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 200 კილოგრამიანი მტაცებლის მკერდის ფარფლი 73 წლის ტერი სელვუდს მოხვდა. ამის შედეგად პენსიონერმა ხელის ტრავმა მიიღო. ის იძულებული გახდა, ნავის ცხვირის მონაკვეთში გადასულიყო, რათა ცხოველისთვის თავი აერიდებინათ. მისი თქმით, 4,5 მეტრი სიგრძის ნავის მთელი გემბანი ზვიგენს ჰქონდა დაკავებული.

სელვუდმა რაციით სამაშველო სამსახური გამოიძახა, რომელთაც ის ნაპირზე გადაიყვანეს. შემდეგ კი ნავი, რომელშიც ზვიგენი იმყოფებოდა, უახლოეს პორტში გადაიყვანეს. ავსტრალიელის თქმით, მომცრო ზომის ზვიგენები, რომლებიც აგრესიულობით გამოირჩევიან, ხშირად ხტებიან მეთევზეთა ნავებში, მაგრამ ასეთ დიდ მტაცებელთან ასეთ შემთხვევას არ ელოდა.

ამერიკის სასამართლომ ბრალდებულს უდანაშაულობის ჟონგლიორობით დამტკიცება აუკრძალა



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ სპრინგფილდის მოსამართლემ ბრალდებულს საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ჟონგლიორობა აუკრძალა.

20 წლის ორლანდო მელენდეზი, რომელსაც მაღაზიის გაძარცვაში ედება ბრალი, დანაშაულს არ აღიარებს და ამტკიცებს, რომ ის უბრალოდ ერთობოდა და მას სწორად ვერ გაუგეს, როდესაც გამყიდველს სათამაშო პისტოლეტით დაემუქრა და მისთვის სალაროდან ფულის მიცემა მოსთხოვა.

მსჯავრდებულმა ადვოკატის მომსახურებაზე უარი განაცხადა და საქმის წინასწარი მოსმენის დროს მოსამართლეს განუცხადა, რომ ის ნაფიც მსაჯულთა წინაშე ქაღალდის დაჭმუჭნული ბურთულებით ჯონგლიორობას აპირებდა.

– მისი დაცვის მთავარ აზრს ის წარმოადგენს, რომ ის მასხარაა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, – ნათქვამია მელენდეზის შუამდგომლობაში. ჟონგლიორობამ კი ამაში უნდა დაარწმუნოს ნაფიცი მსაჯულები.

მსაჯმა ეს თხოვნა არ გაიზიარა და არც მიზეზი განუმარტავს.

ამერიკელებმა ალიგატორი ლუდით დაათვრეს

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ორ მცხოვრებს, რომელთაც ახალგაზრდა ალიგატორს ლუდი ჩაასხეს პირში, გარეული ცხოველის დამცირებისა და შეურაცხყოფის ბრალდება წაუყენეს.

20 წლის ჯოზეფ ენდრიუ ფლოიდ-უმცროსმა და 21 წლის ზაკარი ლოიდ ბრაუნმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნეს ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია, რომ ერთ-ერთს პატარა ალიგატორი კისრით უჭირავს, ხოლო მეორე მას პირში ლუდს ასხავს.

აღნიშნული სურათის გამო რამდენიმე მოქალაქემ საჩივრით მიმართა სამხრეთ კაროლინის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტს. გამოძიებით დადგინდა, რომ ფლოიდი და ბრაუნი რეპტილიას ჯორჯიის შტატის ქალაქ სავანას მახლობლად გადაეწყდნენ. მათ პატარა მტაცებელი ცხოველი დაიჭირეს, ლუდი ჩაასხეს პირში, შემდეგ კი მახლობლად მდებარე წყალსატევთან მიიყვანეს და გაუშვეს.

ახალგაზრდებს 300 დოლარამდე ჯარიმა ემუქრებათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქეთევან კუდუხოვას

მემკვიდრეთა საყურადღებოდ

07.12.2016 წელს გარდაცვლილი ქეთევან კუდუხოვას (დაბადებული 06.02.1933 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №21, მე-4 სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ოთარ ზოიძეს მიმართეთ 2017 წლის 14 ივლისის ჩათვლით.

რა არის ასპირაცია

ეკა ირემაშვილი

სასუნთქ გზებში უცხო სხეულების მოხვედრა საკმაოდ აქტუალური თემაა. ეს ასპირაციაა, რომელსაც ხალხში გადაცდენას ეძახიან. პატარები ხშირად პირში იდებენ სხვადასხვა საგანს, რომლებიც შესაძლოა მათ სასუნთქ სისტემაში აღმოჩნდეს. ეს შეიძლება იყოს საკვები, სათამაშოს პატარა ნატეხები, მარცვლეული, ლითონის ნივთები...

რა არის ასპირაცია, როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ბავშვს რაღაც გადასცდა, რა დახმარება უნდა გავუწიოთ მას ამ დროს და როდის უნდა მივმართოთ ექიმს? – ამ თემებზე იაშვილის კლინიკის რესპირაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლევან ხარაშვილი საუბრობს.

ლევან ხარაშვილი:

– სასუნთქ გზებში უცხო სხეულების მოხვედრა საკმაოდ აქტუალური თემაა. ის შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეეხოს. დაზღვეული არავინ არის.

– რა არის ასპირაცია?

– ამას ხალხი გადაცდენას ეძახის. ასპირაცია არის სასუნთქ გზებში ბუნებრივი ხვრელებიდან მოხვედრილი ნებისმიერი მასა. ბუნებრივ ხვრელებში იგულისხმება ცხვირიდან და პირიდან უცხო სხეულების მოხვედრა სასუნთქ გზებში.

– რა არის სასუნთქი გზები?

– ზემო სასუნთქი გზებია ცხვირი, პირის ღრუ, ხახა, ხორხი. ქვემო სასუნთქი გზებია ტრაქეა და ბრონქები. ეს არის ჰაერგამტარი გზა, რომელიც ადამიანს სჭირდება იმისთვის, რომ ჰაერი ჩაისუნთქოს, რათა ეს ჰაერი მოხვდეს ფილტვებში და ისუნთქოს.

– რა სახის უცხო სხეულები არსებობს? რა შეიძლება მოხვდეს ადამიანის სასუნთქ სისტემაში?

– უფრო ხშირად ეს არის საკვები მასები, მარცვლეული – მზესუმზირა, თხილი, ნიგოზი, ლობიო, სიმინდი ან ნებისმიერი საკვები მასა. მეორე ჯგუფია ყველაფერი დანარჩენი ლითონის, პლასტმასის, საკანცელარიო ნივთები, ჭიკარტი, ღურსმანი, საყურე და ა.შ. ნებისმიერი რამ, რაც შეიძლება ბავშვის პირში მოხვდეს და ჩაეტიოს, ის შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვის სასუნთქ გზებში, რაც საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. თუ საგანი იმდენად დიდია, რომ თითქმის მთლიანად ან სრულად ახშობს სასუნთქ გზებს, ადამიანი შეიძლება დაიღუპოს. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებიც არის ხოლმე. თუმცა, ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ვთქვათ, რომ უხშირესად ჩვენ გამოვდივართ გამარჯვებულები, ამ შემთხვევაში ექიმები. სტენდი გვაქვს გაკეთებული, პატარა მუზეუმივით არის და ჩვენი წლების ნამუშევარი გამოფენილია.

– ვინ არის რისკის ჯგუფში?

– ძირითადად რისკჯგუფში არიან ერთი წლის ზემოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვები, თუმცა ამისგან დაზღვეული არავინ არის, ამიტომ მკვეთრი ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს.

– რატომ ხდება ასპირაცია?

– პირველ რიგში იმიტომ, რომ ბავშვს აქვს ინტერესი, საგნებს გაუსინჯოს გემო. ასპირაციას იწვევს ასევე ასაკისთვის შეუსაბამო საკვების მიღება, არასწორი ჩვევა საკვების მიღებისას, „კეთილმოსურნე“ უფროსი და ან ძმა, საკვების მიღებისას ტირილი, დახველება, გაცინება, წაქცევა.

– როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ბავშვს რაღაც გადასცდა?

– ეს არის უეცრად დაწყებული შეტევითი ხველა, სუნთქვის გაძნელება, მოხრჩობის შეგრძნება, ხმაურიანი სუნთქვა.

– რა შემთხვევაში უნდა მივმართოთ ექიმს?

– ძალიან ხშირად გვირთულდება საქმე ექიმებს და ჯანმრთელობის მდგომარეობა პატარებს იმიტომ, რომ გვიან მოდიან საავადმყოფოში. გვქონია შემთხვევა, როცა რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგაც მოუმართავთ ჩვენთვის. ხშირად უთქვამთ მშობლებს, რომ ბავშვს ახველებს და ვერ მოარჩინეს, ძალიან ღრმად თუ ჩავეკითხებით, მერე ახსენდებათ, რომ რამდენიმე კვირის წინ ბავშვი ჭამდა მზესუმზირას, გადასცდა, მაგრამ აღარ ახველებდა, გაუარა და აღარ მივიდნენ ექიმთან. ეს შეცდომაა – თუ შეამჩნიეთ გადაცდენის ეპიზოდი, შეტევითი ხველა, მოხრჩობის შეგრძნება ან დარჩა შემდეგ ხმაურიანი სუნთქვა, ეს არის პირდაპირი ჩვენება ექიმთან ვიზიტისა.

– როგორ უნდა დავეხმაროთ ბავშვს ამ დროს?

– თუ ჩვილზეა საუბარი, ხელზე უნდა დავიწვინოთ, თავი ცოტა დაქანებით, სახით ქვემოთ და 5-ჯერ მოზომილად დავარტყათ ზურგზე. ამის შემდეგ უნდა ამოვატრიალოთ, ვნახოთ, ხომ არ არის პირში ამოსული უცხო სხეული. თუ ამოსულია, მოვკიდებთ ხელს და ამოვიღებთ, თუ არადა, გადმოვაბრუნებთ და ზეწოლით, ესეც მოზომილი ძალით მკერდის ძვლის ქვედა ბოლოსთან უნდა გავაკეთოთ 5-ჯერ ასეთივე დაწოლითი მოძრაობა. ეს ყველაფერი უნდა გავაგრძელოთ მანამ, სანამ არ მივაღწევთ შედეგს.

თუ ბავშვი 1 წელზე მეტი ასაკისაა, ის მუხლებზე უნდა გადავიწვინოთ, სახით ქვემოთ და ასევე 5-ჯერ უნდა მოხდეს დარტყმა, შემოწმდეს პირის ღრუ და მოვუსმინოთ, სუნთქავს თუ არა ბავშვი. არსებობს კიდევ ერთი მანევრი – ხელების შემოჭდობა სხეულზე. ბავშვს უკნიდან უნდა ჩავეხუტოთ, მოვხვიოთ ხელები, ერთი ხელი დავაფიქსიროთ მკერდის ძვლის ქვემოთ გულმკერდისა და მუცლის საზღვარზე და რამდენჯერმე მოჭერითი ძლიერი ტალღა უნდა გავაკეთოთ. ყველა ამ მანევრის შინაარსი ის არის, რომ რამენაირად ფილტვებში არსებული ჰაერი გამოვტყორცნოთ დიდი ნაკადით, რათა ამოაგდოს უცხო სხეული.

– როგორ არ უნდა მოვიქცეთ ამ დროს?

– ეს არის თითებით ჩაძრომა ბავშვის სასუნთქ გზებში. რომ დაინახავენ მშობლები, ბავშვს რაღაც გადასცდა, ეწყება შეტევითი ხველა, მოხრჩობის შეგრძნება, არავითარ შემთხვევაში ბავშვის პირში ხელის ჩაყოფა, განსაკუთრებით ღრმად, არ შეიძლება. შეიძლება ბავშვს გადასცდეს, მაგრამ ჩვეულებრივად წავიდეს საყლაპავში, გადავიდეს კუჭში და არ მოხვდეს ბრონქებში. თუმცა ჩვენ მიერ ჩაყოფილი თითი შეიძლება გახდეს სერიოზული დაავადების მიზეზი, იმიტომ რომ ბავშვის ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი ძალიან ნაზია, ფაქიზია. როცა ხელს ჩავუყოფთ, შუპდება ყველაფერი და სუნთქვის უკმარისობამდეც კი შეიძლება მივიყვანოთ ბავშვი, თან რეალურად მაშინ, როცა შეიძლება მას რეალურად არაფერი სჭირდებოდეს.

– როგორია დიაგნოსტიკა?

– თუ ბავშვს რამე გადასცდა, ჩავუტარეთ პირველადი დახმარება, მაგრამ ვიცით, რომ გადაცდენილი აქვს და მალევე უნდა მივიყვანოთ ექიმთან. პირველ რიგში, ეს არის ანამნეზი ანუ მშობელს უნდა მოვაყოლოთ, რა მოხდა. მკაფიო ანამნეზი ბრონქოსკოპიის ჩვენებაა. ამ დროს ასევე საჭიროა აუსკულტაცია – მოსმენა, არის თუ არა მსტვინავი სუნთქვა, სუნთქვის შესუსტება თუ ნორმა. ხშირად არის ხოლმე ცვლილებები, თუმცა ხშირად შეიძლება არანაირი ცვლილება სუნთქვისას არ იყოს. როგორც კი მშობლები შემოიყვანენ ბავშვს, მაშინვე გვეკითხებიან, გამოჩნდება თუ არა რენტგენზე, მართლა გადასცდა თუ არა ბავშვს რაიმე ნივთი. სამწუხაროდ, რენტგენი ბევრ ვერაფერში გვეხმარება ხოლმე, თუმცა გარკვეული ნიშნები რენტგენზე არსებობს, რითიც შეიძლება ეჭვი მივიტანოთ უცხო სხეულის არსებობაზე. თუ გადაცდენილია ლითონის ნივთი, ის მკაფიოდ გამოჩნდება. თუ გადაცდენილი ნივთი არის საკმაოდ დიდი დიამეტრის და მთლიანად დაახშობს ბრონქის სანათურს, მაშინ ფილტვში ჰაერი ვეღარ შევა, მთლიანად დაიჩუტება და რენტგენზე გამოჩნდება, როგორც თეთრი ჩრდილი. ზოგჯერ პირიქით ხდება, უფრო მეტად პათოლოგიის მხარეს, სადაც გადაცდენილი აქვს უცხო სხეული, უფრო გადაიბერება ხოლმე. ეს ხდება მაშინ, როცა უცხო სხეული ვერ ახშობს ბრონქის სანათურს, მასში ჰაერი ნაწილობრივ შედის, მაგრამ უცხო სხეული მოქმედებს, როგორც სარქველი.

საღ არიან სტამბოლის გმირები

2005 წლის სტამბოლის ლეგენდარული ფინალის შესახებ ფეხბურთის ნებისმიერმა გულშემატკივარმა იცის. ლივერპულმა მილანთან სამბურთიანი სხვაობა აღმოფხვრა და პენალტების სერიაში გამარჯვების შედეგად თასს დაეუფლა. საინტერესოა, რას საქმიანობენ ამჟამად იმ ლეგენდარული ფინალის მონაწილე ლივერპულის ფეხბურთელები...

იჰეი დელეტი

პოლონელი გოლკიპერი, რომელიც სტამბოლის საღამოს ერთ-ერთ მთავარ გმირად იქცა, გუნდი 2007 წელს დატოვა, რადგან ახალგაზრდა პეპე რეინასთან კონკურენციას ვეღარ გაუძლო. შემდეგ 4 წელიწადი მადრიდის რეალის სათადარიგო გოლკიპერად ითვლებოდა, 2011 წელს კი კარიერა დაასრულა. ამჟამად იგი პოლონური ფეხბურთის ელჩია ევროპაში.

სტივ ფინანი

ირლანდიელი მარჯვენა მცველი, რომელმაც იმ ფინალის შემდეგ კიდევ 5 წელიწადი ითამაშა და 2010 წელს კარიერა პორსტმუთის შემადგენლობაში გახშირებული ტრავმების გამო დაასრულა. ამჟამად ფინანი ლონდონში ცხოვრობს.

ჯეიმი ჯარაგერი

ლეგენდარული ცენტრალური მცველი, რომელიც მთელი ცხოვრება მერსისაიდელთა ღირსებას იცავდა, კარიერა კი 3 წლის წინ დაასრულა და უმალ მოეწყო სკაი სპორტში და დღემდე საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს.

სემი ჰიიპია

მეორე ცენტრალური მცველი. ფიზიკური სიძლიერისა და უმაღლესი საფეხბურთო ინტელექტის შერწყმამ ფინელს უმაღლეს დონემდე თამაშის საშუალება 38 წლამდე მისცა. სკანდინავიელმა მერსისაიდელების რიგები 2009 წელს დატოვა და 2 სეზონი ლევერკუზენის ბაიერში გაატარა, სადაც დაასრულა კიდეც კარიერა. 2012-14 წლებში იგივე ლევერკუზენის მთავარ მწვრთნელად გვევლინებოდა; 2014 წელს ბრაიტონს წვრთნიდა, ხოლო 2015-16 წლებში შვეიცარიულ ციურიხს ავარჯიშებდა.

ჯიმი ტჰაოჰე

ლივერპულის ქომაგები დღემდე სვამენ კითხვას, თუ რას აკეთებდა იმ ფინალში ჯიმი ტრაორე. რადგან „წითლების“ მაისურით გატარებული 7 სეზონის განმავლობაში იგი გულშემატკივარს არადამაჯერებლობითა და არასტაბილურობით დაამახსოვრდა, თუმცა 2005 წლის 25 მაისს ცხოვრების შეხვედრა ჩაატარა და ერთ-ერთ მომენტში ლეგენდარული ანდრეი შევჩენკოს დარტყმული ცარიელი კარიდანაც კი გამოიტანა! ტრაორემ კარიერა 2014 წელს ამერიკულ სიეტლში დაასრულა, სადაც დღემდე იმყოფება მთავარი მწვრთნელის ასისტენტის როლში.

იონ ჰინე ჰიისე

ნორვეგიელი მარცხენა მცველი, რომელიც ყველას ყუმბარისებური ცაციით ახსოვს. მან კარიერის საუკეთესო წლები სწორედ ლივერპულში გაატარა. გარდა ამისა, 2008-11 წლებში რომას რიგებს იცავდა, ხოლო შემდეგ უკვე 2014 წლამდე ფულემში ასპარეზობდა. სკანდინავიელს საბერძნეთსა და ინდოეთშიც უთამაშია. კარიერა გასულ წელს დაასრულა და ახლა დამსახურებული დასვენებით ტკბება.

ჩაბი აღონსო

ერთადერთი ფეხბურთელი იმ ფორმაციის ლივერპულიდან, რომელიც აქამდე უმაღლეს დო-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

რეალი–იუვენტუსი

გზა ფინალამდე და ურთიერთშეხვედრები

საფეხბურთო სამყარო ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოლოდინშია – 3 ივნისს მადრიდის რეალი და ტურინის იუვენტუსი ევროპის საუკეთესო გუნდის ვინაობას გაარკვევენ. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდმა ამ სეზონში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

გულშემატკივარი სანახაობრივი და დაძაბული ფინალის მოლოდინშია. თუმცა, ჯერ გავიხსენოთ, როგორ მივიდნენ გუნდები ფინალამდე:

მადრიდელებს ბედმა ჯგუფში ლისაბონის სპორტინგი, ვარშავის ლეგია და დორტმუნდის ბორუსია არგუნა. ესპანელებმა ჯგუფში 12 ქულით მე-2 ადგილი დაიკავეს და პლეი ოფში განაგრძეს ასპარეზობა.

მერვედფინალში მათ ბ ჯგუფის გამარჯვებული, იტალიური ნაპოლი შეხვდათ. „სამეფო გუნდმა“ პირველ შეხვედრაში ნეაპოლიტანური გუნდი 3:1 დაამარცხა. ანგარიში სტუმარმა ლორენცო ინსინიემ გახსნა, მაგრამ კარიმ ბენზემამ, ტონი კროოსმა და კაზემირომ საბოლოოდ მადრიდელებს მოაგებინეს. საპასუხო შეხვედრაც იმავე ანგარიშითა და იმავე გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ამჯერად რეინას კარის ბადე სერხიო რამოსმა (2) და ალვარო მორატამ შეარხიეს, ნეაპოლელთა მხრიდან კი თავი დრის მერტენსმა გამოიჩინა.

მეოთხედფინალში „თეთრებმა“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას მიუხვენის ბაიერნი გამოთიშეს. როცა ეს 2 საფეხბურთო გრანდი ერთმანეთს ხვდება, შეუძლებელია ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივარი ამ დაპირისპირებას დიდი ინტერესით არ ელოდეს. პირველი შეხვედრა „ალიანს არენაზე“ გაიმართა. არტურო ვიდალის მიერ გატანილ გოლს კრიშტიანუ რონალდუმ დუბლით უპასუხა და შეხვედრაც სტუმრების გამარჯვებით (1:2) დასრულდა. საპასუხო შეხვედრა სტუმრების უპირატესობით დაიწყო, ძირითადი დრო 2:1 დასრულდა – ამჯერად გერმანელთა სასარგებლოდ. გოლები ლევანდოვსკიმ, რონალდუმ და რამოსმა (საკუთარ კარში) გაიტანეს. დამატებით დროში რონალდუმ კიდევ 2 გოლი გაიტანა და ბოლოს მარკო ასენსიომაც გამოიჩინა თავი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრაში მსაჯმა ბევრი საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო.

ნახევარფინალში რეალი თანაქალაქელ ატლეტიკოს დაუპირისპირდა. პირველი შეხვედრა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართა, სადაც მასპინძლებმა პირწმინდად დაჯაბნეს მეტოქე. რეალმა კრიშტიანუ რონალდუს ჰეთთრიკის წყალობით 3:0 დაამარცხა დიეგო სიმეონეს გუნდი. საპასუხო მატჩი „ვისენტე კალდერონზე“ მასპინძლების აქტიურობით დაიწყო, რამაც შედეგი მალევე გამოიღო. მე-17 წუთისთვის „როხიბლანკო“ უკვე 2:0 იგებდა, თუმცა ისკოს გოლმა, შეიძლება ითქვას, გეგმები წყალში ჩაუყარა.

რაც შეეხება ტურინის იუვენტუსს: ალეგრის გუნდმა 14 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, სადაც მეტოქედ ესპანური სევილია, ფრანგული მარსელი და ხორვატული დინამო ჰყავდა.

ტურინელებს მერვედფინალში პორტუ შეხვდათ. პირველ შეხვედრა პორტუგალიაში გაიმართა. მატჩი იტალიელების სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. ალეგრის შეგირდებმა მეტოქე 2:0 დაამარცხეს. გოლები შეცვლაზე შემოსულმა დანი ალვეშმა და მარკო პიაცამ გაიტანეს. განმეორებით შეხვედრაში „ბებერმა ქალბატონმა“ მინიმალური სხვაობით 1:0 მოგება იკმარა. გოლი პაოლო დიბალას ანგარიშზეა.

მეოთხედფინალში „ბებერმა ქალბატონმა“ გათამაშებიდან ერთ-ერთი ფავორიტი ბარსელონა გაისტუმრა.

ცხადია, გულშემატკივართა და ექსპერტთა უმეტესობა ამ წყვილში ფავორიტად ესპანურ გუნდს მიიჩნევდა, თუმცა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. იტალიაში გამართულ შეხვედრაში მასპინძლები სრულ უპირატესობას ფლობდნენ. დიბალას დუბლისა და კიელინის გოლის წყალობით იუვენტუსმა 3:0 იმარჯვა, ხოლო განმეორებით მატჩში „ნოუ კამპზე“ გოლი არ გასულა.

ნახევარფინალში ტურინელთა მეტოქე მონაკო აღმოჩნდა. პირველი მატჩი საფრანგეთში გაიმართა და გონსალო იგუაინის დუბლით იუვემ 2:0 მოიგო. იტალიაში კი მანჯუკიჩისა და ალვეშის გოლებს მბაპემ უპასუხა, 1 ბურთი გაქვითა და კვლავ ტურინული კლუბის გამარჯვება – 2:1.

ახლა ფინალის ჯერია... ეს, ის თამაშია, რომელსაც ყოველთვის დიდი ინტრიგა ახლავს და რომელსაც დიდი ისტორია გააჩნია.

აქამდე ამ გუნდების გზები 18-ჯერ გადაკვეთილა და სრული თანაფარდობაა: 8-8 მოგება და 2 ფრე. ერთი ეგაა, ბურთების შეფარდებაში მცირე უპირატესობას იუვენტუსი ფლობს – 21:18. აღსანიშნავია, რომ მათი ყველა დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგას (თასს) მოიცავს. ორჯერ რეალისა და იუვეს შეხვედრა ჯგუფურ ეტაპზე შედგა, ერთხელ ფინალში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში საპლეიოფო სტადიაზე.

აღსანიშნავია, რომ იუვენტუსს პლეი ოფიდან რეალი გამოთიშული 4-ჯერ ჰყავს, ხოლო რეალმა იგივე ორჯერ გააკეთა. სამაგიეროდ, იმ ერთადერთ ფინალში გამარჯვება ესპანელებს დარჩათ. ვნახოთ, რა იქნება მეორე ჯერზე, თუმცა იქამდე, მოკლედ გავიხსენოთ აქამდე გამართული ყველა დაპირისპირება.

1961-62. მეოთხედფინალი: იუვენტუსი-რეალი 0:1; რეალი-იუვენტუსი 0:1; რეალი-იუვენტუსი 3:1

რეალისა და იუვენტუსის გზები პირველად 1961-62 წლების სეზონში, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გადაიკვეთა. პირველი შეხვედრა ტურინში შედგა და „სამეფო კლუბმა“ აღფრედო დი სტეფანოს გოლით მოიგო, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში სტუმრად მოგება უკვე იუვენტუსმა მოახერხა ომარ სივორის გოლით. ვინაიდან მაშინ, დამატებითი დრო და პენალტების სერია არ წყვეტდა ორმატჩიანი რაუნდის ბედს, დაინიშნა გადათამაშება, რომელშიც ესპანური გუნდი უფრო ძლიერი გამოდგა: პარიზში გამართულ მატჩში ანგარიში ფელომ გახსნა, სივორიმ გაათანაბრა, ხოლო ლუის დელ სოლისა და ხუსტო ტეხადას გოლებმა ყველაფერი რეალისკენ გადაწონა.

1986-87. მეორე ეტაპი: რეალი-იუვენტუსი 1:0; იუვენტუსი-რეალი 1:0 (1:3პ)

მეორედ რეალი და იუვეს ხანგრძლივი პაუზის, 25 წლის შემდეგ, 1986-1987 წლების სეზონში ჩემპიონთა თასის მეორე ეტაპზე გადაეყარნენ ერთმანეთს. მადრიდში მასპინძლებმა ემილიო ბუტრაგენიოს გოლით იმძლავრეს, ხოლო ტურინშიც იგივე ანგარიში დაფიქსირდა – ანტონიო კაბრინის მე-9 წუთზე გატანილი გოლი ერთადერთი გამოდგა. ყველაფერი პენალტების სერიამ გადაწყვიტა, რომელშიც რეალმა 3:1 მოიგო.

1995-96. მეოთხედფინალი: რეალი-იუვენტუსი 1:0; იუვენტუსი-რეალი 2:0

პირველი ორრაუნდიანი დაპირისპირება, რომელშიც გამარჯვება იუვენტუსს დარჩა. 1995-96 წლების სეზონის მეოთხედფინალურ ეტაპზე „ბებერმა ქალბატონმა“ „სამეფო კლუბის“ ბარიერი დაძლია.

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ რაულ გონსალესის ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი. თუმცა, „დელე ალპიზე“ მარჩელო ლიპის გუნდმა სასურველ შედეგს მიაღწია – ალესანდრო დელ პიერომ და მიკელე პადოვანომ ესპანელებს 2 გოლი გაუტანეს. საბოლოოდ, იმ სეზონში იუვენტუსმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

1997-98. ფინალი: იუვენტუსი-რეალი 0:1

ამ 2 ტიტანს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში 1998 წელს ჩატარდა – ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომელსაც „ამსტერდამ არენამ“ უმასპინძლა „სამეფო კლუბმა“ მეტოქეს აჯობა. მატჩის ერთადერთი გოლი 66-ე წუთზე პრედრაგ მიატოვიჩმა გაიტანა და მაშინ ფავორიტად შერაცხული იუვე თასის გარეშე დატოვა. აღსანიშნავია, რომ ამ გამარჯვებით, რეალმა ჩემპიონთა ლიგის მოგება 32 წლიანი პაუზის მერე პირველად მოახერხა.

2002-03. ნახევარფინალი: რეალი-იუვენტუსი 2:1; იუვენტუსი-რეალი 3:1

იუვენტუსმა რევანში 5 წლის შემდეგ აიღო – ამჯერად უკვე ნახევარფინალურ ეტაპზე. პირველ შეხვედრას მადრიდმა უმასპინძლა და ვისენტე დელ ბოსკეს გუნდმა რონალდოსა და რობერტო კარლოსის გოლებით მოიგო. შუალედში კი, დავიდ ტრეზეგემ გაიტანა სტუმართა მხრიდან. თუმცა, „დელე ალპიზე“ მარჩელო ლიპის გაწვრთნილმა იუვემ საოცარი ფეხბურთი აჩვენა. ალესანდრო დელ პიერომ, დავიდ ტრეზეგემ და პაველ ნედვედმა მეტოქეს ფინალისკენ გზა გადაუღობეს. ექსიუვენტუსელი ზინედინ ზიდანის გოლი კი ძალზე გვიანი და მხოლოდ პრესტიჟისა გამოდგა.

2004-05. მერვედფინალი: რეალი-იუვენტუსი 1:0; იუვენტუსი-რეალი 2:0 (დდ)

იგივე სცენარი ვიხილეთ 2 წლის მერეც, ოღონდ უკვე მერვედფინალში. ჯერ იყო და, მადრიდში ივან ელგერას 31-ე წუთზე გატანილი გოლით „სამეფო კლუბმა“ მოიგო, მაგრამ ტურინში ისევ მარცხი ელოდა. დავიდ ტრეზეგემ 75-ე წუთზე გახსნა ანგარიში და შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა. იქ კი მარსელო ზალაიეტას გოლით შემდეგი ეტაპის საგზური იტალიურ გრანდს დარჩა.

2008-09. ჯგუფური ეტაპი: იუვენტუსი-რეალი 2:1; რეალი-იუვენტუსი 0:2

ეს წელი სულაც არ ყოფილა იუვენტუსისთვის დასამახსოვრებელი. საფეხბურთო სკანდალის შემდეგ ეს იყო „ბებერი ქალბატონის“ პირველი დაბრუნება ევროპაში, თუმცა რეალთან ისევ დიდებულად ითამაშა, ამჯერად, ჯგუფურ ეტაპზე. ტურინში იუვენტუსმა 2:1 მოიგო – ანგარიში ალესანდრო დელ პიერომ გახსნა, ხოლო ამაურიმ სხვაობა მეორე ტაიმში გაორმაგა. რუუდ ვან ნისტელროიმ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა.

მადრიდში მასპინძლები აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდნენ, თუმცა იუვემ მიუხედავად შესუსტებული შემადგენლობით თამაშისა, მეტოქეს იოტისოდენა შანსი არ მისცა: შეხვედრის გმირი ალექს დელ პიერო გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა და თამაშის ბოლოს „სანტიაგო ბერნაბეუს“ პუბლიკა მას ფეხზე აპლოდისმენტებით წამოუდგა.

2013-14. ჯგუფური ეტაპი: რეალი-იუვენტუსი 2:1; იუვენტუსი-რეალი 2:2

მორიგი დუელიც ჯგუფურ ეტაპზე შედგა, ამჯერად უკვე უკეთ რეალი გაისარჯა: მადრიდში, კრიშტიანუ რონალდუმ დუბლი შეასრულა, ხოლო იუვეს ფერნანდო ლორენტეს გოლი არ ეყო. „იუვენტუს სთედიუმზე“ გამართულ თამაშში კი ფრე დაფიქსირდა: არტურო ვიდალმა იტალიის ჩემპიონი დააწინაურა, მერე კრიშტიანუ რონალდუმ და გარეტ ბეილმა წინ ესპანელები გაიყვანეს, ხოლო ფერნანდო ლორენტეს გოლმა იუვეს ქულა გადაურჩინა.

2014-15. ნახევარფინალი: იუვენტუსი-რეალი 2:1; რეალი-იუვენტუსი 1:1;

ბოლო დაპირისპირება კი 2015 წლის მაისით თარიღდება: ნახევარფინალში გამარჯვებული იუვენტუსი გამოვიდა: ტურინში მასპინძელთაგან ალვარო მორატამ და კარლოს ტევესმა გაიტანეს, ხოლო სტუმართაგან – კრიშტიანუ რონალდუმ.

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ რეალის შანსი უფრო ფასობდა, მაგრამ 13 მაისს იუვეს დღე იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი „სამეფო კლუბმა“ რონალდუს პენალტითი მოიგო და ამ შედეგით ფინალშიც გადიოდა, ყველაფერი რეალის აკადემიის აღზრდილმა მორატამ გადაწყვიტა, რომელმაც მაშინ ყოფილ კლუბს კვლავ გაუტანა, ფრე 1:1 დაფიქსირდა და იუვენტუსი ფინალში გავიდა.

ახლა უკვე წინ ფინალური მატჩია. როგორც ხედავთ, სარევანშოდ საქმე ორივე გუნდს აქვს: ბოლო პერიოდში, პლეი ოფის სტადიაზე მუდმივად იუვე ახერხებდა რეალის ძლევას, ხოლო აქამდე გამართულ ერთადერთ ფინალში გამარჯვება „სამეფო კლუბს“ დარჩა.

ვნახოთ, რა მოხდება კარდიფის ფინალში.

სად არიან სტამბოლის გმირები

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნეზე ასპარეზობს. ინტერვიუებში ესპანელს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ლივერპულში გატარებული პერიოდი მის კარიერაში საუკეთესოა, სტამბოლის ფინალის მოგება კი – უბრალოდ, დიდებული მოვლენა. „წითლები“ 2009 წელს დატოვა და 5 სეზონი მადრიდის რეალში გაატარა, 2014 წლის ზაფხულში კი მიუნხენის ბაიერნს შეუერთდა, სადაც ამ სეზონის ბოლომდე ითამაშა და რამდენიმე დღის წინ კარიერის დასრულება გამოაცხადა.

დიტმარ ჰამანი

გერმანელი საყრდენი ნახევარმცველი ამჟამად ჯეიმი კარაგერის კოლეგად ითვლება და ასევე სატელევიზიო ექსპერტია. ლივერპულის შემდეგ იგი ჯერ მანჩესტერ სიტიში, შემდეგ კი მილტონ კეი დონსში ასპარეზობდა. კარიერა 2011 წელს დაასრულა.

სტივენ ჯერარდი

